

ლიტერატურული გაზეთი

№17 (369) 13 - 26 სექტემბერი 2024

ბამოლის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი



დათო მალრადე
ჰამლეტის
სარკე
„You will not leave until
I hold a mirror, up to you...“
HAMLET

ბანკებში დაგროვდა ოქრო და დოლარი და დენთის სურნელი ტრიალებს ჰაერში... მე სოფლის საყდარში მახურავს ოლარი, სანამდე ჰოედან გადავალ ჰაეში. და ვფიქრობ, რომ ოქრო იპოვის იარაღს, რადგანაც ოქროა მკვლელიც და მკურნალიც, და როცა სხეულზე გააჩენს იარაღს, მიახვეს ექიმს და მიაქსევს ურუნალისტს. თუ ბანკის ექსპერტმა ნახა, რომ იკლო ფონდებიდან ვალუტის ნაკადის დინებამ, კვამლში მოცანცარე მედიის მიკროფონს გაგზავნის დაბოძებულ მასეების იმედად.

ბანკებში დაგროვდა ოქრო და დოლარი, ამიტომ საფრთხეზე ფიქრს ველარ მოვეშვი, და სოფლის საყდარში მახურავს ოლარი, სანამდე ჰაედან გადავალ ჰოეში. ჰაედან ჰოეში, ან იქნებ პირიქით, არ ვიცი, რადგანაც არც მე ვარ მოწესე... უბრალოდ, ფართო გზას ვარჩიე ბილიკი, რომ იქნებ გოლგოთის აღმოჩენდნენ შოსეზე... ვნების ქარტეხილმა თუმცა კი მათრია, დღის ცოდვა, არ მახსოვს, ღამით არ მენანოს... სოფლის მღვდელს ვეძებდი და არა პატრიარქს, ამიტომ შენდობა შევთხოვე ბერნანოსს.

ეს სიტყვა სწორად რომ გაიგოს პატრიარქი, პირველად მაშინ ვთქვი, როს გახლდით გენუას, რომ სოფლის მღვდელს ვეძებ და არა პატრიარქს, — ანუ იარუსი ვარჩიე ბენუარს. რაც უნდა იაროს კაცმა, თუ იარუსს არჩია ლოჟა და წაიღო დიდებამ... დიდების ვირუსით არეულ სიარულს სოფლელი დიაკვნის არ მოერიდება. თვით მემატანეც რომ ხატავს მომენტებს, შემწირველს ადიდებს, შეწირულს კია არა... და იარუსიდან, უბრალოდ მომენდე, უკეთ ჩანს, რომ ოქრო იპოვის იარაღს.

პაპის რომ აღარ სწამს განდგომილ პურიტანს, ქაოსის ენჯეო აკისრებს უსაშველობის მისიას:

დიუშანის უნიტაზს... კეიჯის ბგერას და... ჯოკონდას უღვაშებს... — გაუქმდეს სასწრაფოდ ეთიკის საბაჟო! — ბრძანებაც გასცეს და ლულებიც დაზეთეს, — რომ „ტანგო პარიზში“ ფილმია საბავშვო, — ეცნობოს სკოლებს და — ეცნობოს გაზეთებს! რათა ესთეტიკა თან მიჰყვეს ეთიკას, ადამის სულშიც რომ გაღრმავდეს იარა... მაშ, მსხვერპლი მივანდოთ მშრალ არითმეტიკას, რომ ოქრომ ადვილად მიაგნოს იარაღს.

ერთ ნამზე ვიღებდი ყოველთვის სწორებას, წამიდან ვინამე მოწამე იკონის და ფოტო, — ხაფანგში გაბმული ცხოვრება ვცდილობ, რომ დავეჭდო სალექსო სტრიქონით. ხაფანგში გააბამს ცხოვრების დინებას პარიზის ქუჩებში კარტიე ბრესონი, საგრაფო Palazzo-ს, ფელინიმ ინება, რომ პარტერს ახსოვდეს, ჭერი აქვს კესონის... — ზემო სტროფს რადგანაც დასჭირდა სქოლიო, ვეცდები, შემდგომში რომ უფრო უბრალოდ ვთქვა ჩემი სათქმელი და წავიყოლიო მკითხველი, საითაც დაგეძებ, უფალო.


დაბოლოს, ეს ლექსი ქარტეხილს სადაურს მიჰყვება, მკითხავთ და მართალიც იქნებით... ან რითი პასუხობს მჭექარე სათაურს, რომელი ფიქრით და რომელი მიგნებით. რომელი ქარბუქი საიდან გვიბერავს, დანიის პრინცი რომ მუხლებით ათრიოს? — აქციის ალიბი სჭირდება ლიბერალს... სანქციის ალიბი სჭირდება პატრიოტს... — ჰო, მართლა! — რატომ და საიდან ჰამლეტი... — რომ ერთად ვემსხვერპლო მტერსაც და მეგობარს, მშვიდობით, მივდივარ შორს... მოუსაველეთით და განვდით სარკეს რომ ჩახედოს ეპოქამ.

*იხილეთ მავსტრო ფელინის „ამარკორდი“.

ნინო მშვიდობაძე

მარწყულაელი

განა ტყუილად დიდებთან მდინარეები, ანდაც ტყუილად ბობოქრობენ ზღვები ხანდახან... ფერდობებს რომ ჩამოვირბენდი, სულის მოუთქმელად დავეწაფებოდი ანკარა წყაროს წყალს, ჩემს მიახლებამდე მშვიდად რომ მინანქარებდა... რა მინდოდა, რას ვახმაურებდი ჩემ გარშემო ყველაფერს, მეც იმ წყაროსავით მშვიდი ვყოფილიყავი, გვარი არ მინცობდა ხელს, თუ რა? გაგიგონია, თითქოსდა ჯიბრზე, ხმაურით ვიკლებდი არემარეს. ახლაც, სად მაქვს იმის შნო, ხმადაბლა გავიციინო, ჩუმი ვიყო, საჩემდაჩემოდ მიმავალი ცხოვრების გზაზე. სულაც არ მინდა და მაინც: ჩემი სიცილის ექო ისმის დიდხანს, ნაბიჯების ხმაზე მცნობენ ჭიანჭველები... გვარი რომ ხელს მინცობს, განა მართლა მშვიდი ვარ... არც მინდა სიმშვიდე, სულ მგონია, რომ სიცოცხლის მთელი მომხიბვლელობა სწორედ ხმაურშია, აზრიან ხმაურში... ჩემი მხრებიდან დარდის ტომარა მუდამ მიცურდება, როცა მხრები სიცილისაგან მითრთის. დავასრულებ კისკისს, დავიხრები და ისევ მოვიკიდებ, თითქოს ამ ტომრის იქით არც საშველია და არც ხსნა. როგორ იქნება, ტკივილები ხომ ისე მოვიშინაურე, სულ შენი ჭირიმე, შენ გენაცვალეთი ვესაუბრები. აქამდე თუ ფერდობებიდან ჩამოვრბოდი, ანკარა წყაროს წყლის დასანაფებლად, ახლა წყაროც მე ვარ და მწყურვალიც, ვინლა დამენაფოს... და მიდიდებდა ეს გული — მდინარესავით... და ბობოქრობენ ჩემი ფიქრები — ზღვასავით, არა ტყუილად: ქალი ვიყავ და წყაროდ ვიქეცი; წყარო ვარ და საკუთარ თავს ვარწყულე მხოლოდ... განა ტყუილად დიდებთან მდინარეები... განა ტყუილად ლელავენ ზღვები...





1928 წელს გერმანიაში გამოცემოდა გრიგოლ რობაქიძის რომანი „გველის პერანგი“ შტეფან ცვაიგის, მთელს დასავლეთში გახმაურებული მწერლისა და ინტელექტუალის, აღფრთოვანებული წინასიტყვი, რომელშიც ისიც აღინიშნებოდა, რომ:

ხალხთა შეუჩერებელ მისწრაფებას ერთმანეთისაკენ ბევრი რამ მიეცა ევროპისათვის ბოლო ხანს — ესკიმოსები, ჩინელები, იაპონელები მოუთხოვრებდნენ მათ თავიანთი კულტურებიდან, რაბინდრანათ თავგორსა და მაჰათმას განდისთან ერთად კი გამოცხადდებოდა თანადროული, ფრიად ცოცხალი ინდოეთი.

და აი ამ რომანით ასპარეზზე ჩნდებოდა ახალი ხალხი — ქართველები, უძველესი ერი, დაბინადრებული დედამიწის უმშვენიერეს კუთხეში, განთქმული თავისი სიმღერებითა და ლეგენდებით.

და შტეფან ცვაიგი არ მოერიდებოდა ამის თქმასაც:

სამარცხვინოდ ჩვენთვის, ევროპელთათვის უცნობი.

ეს გახლდათ ის სიახლე, რომელიც დაატყვევებდა ევროპელებს, სიახლე, რომლის მეგზურადაც გამოჩენილიყო ეს არაჩვეულებრივი წიგნი, და მის მიმართ აღვლენილ ხოტბას გერმანელი მწერალი ამ სტრიქონებით დაავიწყებდა:

ვერ მოაქცევ ვერცერთ კატეგორიაში და ჩვენს მატერიალისტურ, ყოველთვის უმცოდნეს და უმცენიერეს ქვეყანაში — ძლევა მოსილებით აცხადებს შემოქმედებით სიცოცხლეს დაუბრუნებელი მითოსისაო.

შტეფან ცვაიგი ქართულ რომანს მიიჩნევდა აღმოსავლური განთიადის შემონათებად ევროპულ სივრცეში, თუმცა საქართველო — როგორც უშუალო წინაი კავკასიისა, ამ მხარეში დიდხანს რომ ინარჩუნებდა პოლიტიკური და კულტურული ჰეგემონის როლს — აღმოსავლეთიცაა და დასავლეთიც, როგორც მათ გზავჯარედინზე მდებარე, და საპირისპიროდ რადიარდ კიპლინგის შეხედულებისა: აღმოსავლეთი და დასავლეთი ვერასოდეს შეხვდებიან ერთმანეთსო, — ისინი სწორედაც რომ ხვდებიან ერთიმეორეს და ხვდებიან საქართველოში.

ჩვენს ლიტერატურას და საერთოდ კულტურას შუა საუკუნეებში გადაჰკრავდა აღმოსავლური ელფერი და კოლორიტი, მაგრამ შინაგანი სწრაფით დასავლეთს უფრო ეკუთვნოდა, ამ წრეში უფრო ბუნებრივად გრძნობდა თავს და ამიტომაცაა დღესდღეობით ქართველი ხალხის მისწრაფება — კვლავ დაუბრუნდეს ევროპულ სივრცეს, როგორც მისი კულტურული და

პოლიტიკური ნაწილი, აღიდგინოს ის კავშირ-ურთიერთობა, რასაც ძალით მოწყვეტეს და ბოლო ორსაუკუნოვანი რუსული პყრობილობის პირობებში შორეულ ექოდლა აღწევდა დასავლური საზოგადოებრივკულტურული ცხოვრების მდინარეა.

თუმცა შინაგანი განვითარებით მაინც ვინარჩუნებდით ევროპასთან სიახლოვეს. ქართველთა წინაპარი ტომები და პირველი სახელმწიფოებრივი გაერთიანებანი იხსენიებიან ძველ ხალხთა დანატოვარ წერილობით წყაროებში და მათ შორის ძველი ალექსანდრე ფურცლებზე.

ქართული დამწერლობის კვალის ძიებაში პავლე ინგოროყვა — ქართული ცივილიზაციის ისტორიის შემქმნელი — ხეთურ ეპოქამდეც და იეროგლიფურ დამწერლობამდეც მიიყვანა, დადასტურა ქართული ასომთავრული ანბანის წარმოშობაც წარმართულ ეპოქაში და ქართულ საისტორიო თხზულებათა კრებულში — „ქართლის ცხოვრება“ — მიაგნო კვალს ქრისტეს დაბადებამდე მესამე საუკუნეში ქართული ეპიკური სიმღერების არსებობისა მეფე ფარნავაზზე.

ერთი მხრივ უძველესი მითოლოგიური თქმულებების გამოვლენამ და მეორე მხრივ ერეტიკული მოძღვრების დადასტურებამ მეთორმეტე საუკუნის საქართველოში, მას მოამზადებინა წინამძღვრები აღმოსავლური რენესანსის თეორიისა, რომელიც სრულყოფილად უნდა ჩამოეყალიბებინა შალვა ნუცუბიძეს.

ქართული რენესანსი უსწრებს დასავლურ რენესანსს და მისი გვირგვინია შოთა რუსთველის ეპიკური ქმნილება „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც დიდ პოეტურ ხელოვნებასთან ერთად გამოირჩევა ქართული ენის დღესასწაულითაც.

პოეტური ხელოვნება გამომჟღავნებდა რითმის სიმდიდრითა და მრავალფეროვნებითაც, რითმა კი ის მოვლენაა, რაც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად უნდა ჩასახულიყო ქართულ, სპარსულ და არაბულ პოეზიაში, არაბულიდან შეეთვისებინა ესპანურ ლექსს და აქედან გავრცელებულიყო მთელს ევროპაში.

„ვეფხისტყაოსანში“ გამოიხატებოდა XII საუკუნის საქართველოს ცხოვრება, თუმცა ეპიკოსი პერსონაჟთა თავგადასავალს გამოიღია მაშინდელი მსოფლიოს არეალში, რათა მოქმედება ორ ზღვას შუა არ ჩაკეტილიყო და სამყაროული ასპარეზის განცდა შექმნილიყო.

ეს დრო ოქროს ხანად არის მოხსენიებული საქართველოს ისტორიაში.

სხვათაშორის დიდგვაროვანთა ერთმა ჯგუფმა სცადა პარლამენტის შექმნა, და

თუმცა ეს მცდელობა მარცხით დასრულდა, მაგრამ გავითვალისწინოთ, რომ: მეთორმეტე საუკუნეა.

ოქროს ხანის სათავეში დგას დავით აღმაშენებელი, რომელმაც მარჯვედ ისარგებლა ჯვაროსანთა ომებით, გადააჯაჭვა ამ საერთაშორისო პროცესს თავისი ბრძოლები თურქ-სელჩუკთა განსაადევნად და გაათავისუფლა ქვეყნის დედაქალაქი თბილისი, რომელიც ოთხი საუკუნე იყო არაბთა ხელში. საქართველო კი აქცია ძლევა-მოსილ სახელმწიფოდ.

თამარ მეფის ხანაში საქართველო შეინარჩუნებდა ძლევა-მოსილებას, მაგრამ ჯერ მონღოლთა შემოსევა, მერე განუწყვეტელი ჭიდილი ირანთან და თურქეთთან და საბოლოოდ რუსეთის იმპერიის კაბალაში მოქცევა ჩვენს ქვეყანას ამოაგდებდა მსოფლიო-ისტორიული პროცესებიდან, XVIII საუკუნეში ამოაორო ალმონდებოდა საქართველოს მამად შერაცხული სულხან-საბა ორბელიანის დიპლომატიური მისიით გამგზავრება საფრანგეთსა და იტალიაში, „ქართული ლექსიკონის შემქმნელისა“ და იმ იგავთა წიგნის — „სიბრძნე სიკრუისა“ — რომლის ერთ-ერთი ნოველაც დეტექტივად წარმოგვიდგება — დასავლეთისთვის მანამდე უცხო ჟანრად.

მსოფლიო-ისტორიულ პროცესებს კი უნდა დავბრუნებოდით 1832 წლის შეთქმულებისა და მის მეთაურთა წყალობით: სოლომონ დოდაშვილის, ალექსანდრე ორბელიანისა და ელიზბარ ერისთავის.

ეს გაბრძოლება რუსეთის ძალმომრებისაგან თავდასაღწევად შეფასდებოდა პოლიტიკური რომანტიზმის სახელით და იქნებოდა ერთ-ერთი რგოლი ამ სულისკვეთებით გაუფლავებელი აჯანყებებისა, მთელს მსოფლიოში რომ გაიშლებოდა:

იტალიელ კარბონართა ამბოხი ავსტრიელთა განსაადევნად, პოლონელებისა — რუსული კაბალისაგან თავდასაღწევად, ბელგიის გათავისუფლება პოლანდიელთა ბატონობისაგან, ეგვიპტის, საბერძნეთის, სერბეთის, რუმინეთის და ბალკანეთის ნახევარკუნძულის ქრისტიანი ერების — ბულგარელთა გამოკლებით — გათავისუფლება თურქეთისაგან, ლათინურ ამერიკაში ეროვნულ მოძრაობებს კი მოჰყვებოდა ჯერ მექსიკის, მერე ბრაზილიის გათავისუფლება და კიდევ სხვა დამოუკიდებელი სახელმწიფოებიც უნდა შექმნილიყო ესპანელ კოლონიზატორთაგან თავდაღწევის შედეგად.

ესეც ის საერთაშორისო საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესები, რომლის შეაგულშიც მოექცეოდა საქართველო. და ამ შეთქმულების სულისკვეთებას ექსპრე-

სიულად გამოხატავდა ეპოქის მესტიყვე და ქართული რომანტიზმის ყველაზე თვალსაჩინო სახელი ნიკოლოზ ბარათაშვილი: ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულისკვეთება, და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩებაო!..

ეს სტრიქონები ძალდაუტანებლად განზოგადდება ქართველი ხალხის უთანასწორო, მაგრამ შეუწელებელ და დაუმცხვრალ ბრძოლაზე დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღსადგენად და შესანარჩუნებლად.

ამ ბრძოლაში ჩართული იყვნენ მწერლები — არა მხოლოდ გონიერ მრჩეველებად, არამედ უშუალო მონაწილეებად.

ნიშანდობლივია, რომ: 1832 წლის შეთქმულების მეთაურთაგან ორი მწერალი და სწავლული გახლდათ: სოლომონ დოდაშვილი და ალექსანდრე ორბელიანი.

მათ გარდა კიდევ: გრიგოლ ორბელიანი, დიმიტრი ყიფიანი, გიორგი ერისთავი, სოლომონ რაზმაძე.

დამოუკიდებლობა აღდგენილი საქართველო წარმოედგინათ პარლამენტურ მონარქიად, პრემიერ-მინისტრად კი ვარაუდობდნენ ალექსანდრე ჭავჭავაძეს, პოეტს, რომელიც 17 წლისა უკვე მონაწილეობდა 1804 წლის აჯანყებაში და დასჯილიც იყო მემამოხეობისათვის.

ილია ჭავჭავაძე, რომელიც უწინამძღვრებდა ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას, ჩამოაყალიბებდა პოეტი-წინასწარმეტყველის სახე-სიმბოლოს, როგორც ქართველი მწერლის უშუალო მოვალეობასა და ვალდებულებას ქვეყნის წინაშე.

ტრაგიკულად დაასრულდა სიცოცხლეს — გაინიერბოდა სოციალ-დემოკრატიული პარტიისაგან, მოგვიანებით კი საქართველოს ეკლესია შერაცხავდა წმინდანად, ისევე როგორც დიმიტრი ყიფიანს, რომელიც ასევე მთელ სიცოცხლეს გადააგებდა რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლას, ქართველი ერის დანყველისათვის ეგზარქოსსაც კი მოსთხოვდა საქართველოს დატოვებას, რისთვისაც გადასახლებაში მყოფს თავს გაუხეთქავდნენ.

როდესაც ვარშავაში მყოფ ქართველ სტუდენტთა წრეში ჩაისახებოდა „საქართველოს გათავისუფლების ლიგა“, მისი წინამძღოლი შოთა არაგვისპირული იქნებოდა — ქართული ფსიქოლოგიური ნოველის შემქმნელი.

საქართველოს ხელმეორე ოკუპაციის შემდგომ — მონარქიულ რუსეთს ბოლშევიკური რუსეთი რომ ჩაენაცვლებოდა — ქაქუცა ჩოლოყაშვილის მიერ წამოწყებულ წინააღმდეგობის მოძრაობაში ორი მწერალი იქნებოდა განსაკუთრებით ჩართული: შალვა ამირეჯიბი და მისა ხელაშვილი.

მეორე მსოფლიო ომის დროს განდებოდა იმედი, რომ საქართველოს შეიძებოდა თავი დაეღწია ბოლშევიკურ-კომუნისტური რუსეთისაგან და იატაკქვეშა მოძრაობას სათავეში ჩაუდგებოდა კოტე ხიშიაშვილი, მიუხედავად ახალგაზრდული ასაკისა უკვე რომანიც რომ ექნებოდა გამოქვეყნებული. დახვრტდნენ 16 თანამებრძოლთან ერთად, რომელთაგან ორი მწერალი გახლდათ: გიორგი ძიგვაშვილი და თურმან შანშიაშვილი.

ეს ამბოხი ისტორიაში შევიდოდა 1942 წლის შეთქმულების სახელით, 1943 წელს კი საბჭოთა ხელისუფლება განადგურებდა ქვეყნის მთიან მხარეში — თუშეთში — მყოფ შეიარაღებულ რაზმებს, რომელსაც მწერალი მეთაურობდა — ადამ ბობლაშვილი, ლალატი მოკლულს თავს რომ მოჰკვეთდნენ.

მანამდე იგი შეძლებდა თანამებრძოლებთან ერთად, რომელთაგან ერთი პოეტი გახლდათ — არჩილ კიტოშვილი, თუშეთის ორი ხეობის სოფლებში გაუქმებულად გამოეცხადებინა საბჭოთა რეჟიმი და აღედგინა დამოუკიდებლობა, რომელსაც შეინარჩუნებდნენ ხუთი თვის განმავლობაში.

ასეთი რამ არ მომხდარა რუსეთის წითელი იმპერიის უზარმაზარი სივრცის თუნდ ერთ სხვა სოფელსა და თუნდ ერთი საათით!..

ნიშანდობლივია, რომ: ეროვნული ბრძოლის წინამძღოლი ზვიად გამსახურდია, რომელიც აღადგენდა საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას 1991 წლის 9 აპრილს და მისი პირველი პრეზიდენტიც გახდებოდა,

მწერალი და სწავლული გახლდათ, და ახალდროში ასე უნდა გაეგრძელებინა ქართველ მეფეთა ტრადიცია, მათ შორის არაერთის პოეტური მემკვიდრეობა რომ შემოგვრჩენია: დავით აღმაშენებელი, დემეტრე პირველი, თამარ მეფე, თეიმურაზ პირველი, არჩილი, ვახტანგ მეექვსე, თეიმურაზ მეორე — რომ აღარაფერი ითქვას უფლისწულთა ლიტერატურულ დანატოვარზე.

დასავლური სამწერლო პროცესები ცალკე არ მიედინებოდა ქართული ლიტერატურული ცხოვრებისაგან და არაერთი გადაკვეთის წერტილი მოიხსენიება მათ შორის — ხილული თუ შინაგანი ლოგიკით განსაზღვრული.

ასე გამოიკვეთებოდა ქართული რომანტიზმიც, რეალიზმიც, სიმბოლიზმიც — ეს მიმდინარეობა ცოტა დაგვიანებით, თუმცა უშუალოდ უნდა გადაჯაჭვოდა მოდერნისტულ ძიებებს, მთელი თავისი მრავალფეროვნებით, ფუტურისმი და დადაიზმიც რომ იჩინდა თავს ქართულ მწერლობაში, იმპრესიონისტული და ექსპრესიონისტული მიდრეკილებანი ხომ თავისთავად... შემდგომ აბსურდის სტილისტიკაც და პოსტმოდერნიზმიც...

ალექსანდრე ყაზბეგი თავის მოთხრობებსა და რომანებს უნდა წარმოესახა არამარტო საქართველოს ტრადიციული და პეროიკული ბედისწერა სახელმწიფოსა და ეკლესიის გაუქმების შემდგომ, არამედ ჩრდილოკავკასიის, კერძოდ ჩიჩნეთ-დაღესტანის თავგანწირული ბრძოლაც თავისუფლების გადასარჩენად იმამ შამილის წინამძღოლობით, ყაზბეგი ამის გამო არაკლებ რომ არის დაფასებული ჩრდილოკავკასიაში, მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა კი ისხენიება როგორც კავკასიური ილიადა.

ვასილ ბარნოვს უნდა გამოეხატა ტრადიციული სული ქართველი ერისა, მისი ისტორიული თხზულებანი მხატვრულად რომ მოგვითხრობს ქართველების თავგადასავალს უძველესი ჟამიდან XX საუკუნის 20-იანი წლების ჩათვლით, ისევე რომ მოაქცევდა ერთიან სისტემაში თავისი ხალხის თავგადასავალს, როგორც უოლტერ სკოტი თავისი ხალხისა, ვასილ ბარნოვი ქართულ რომანს სწორედ სკოტის რომანთა სიმალემდე რომ აზიდავდა.

კომიკური სული ქართველი ხალხისა კი უნდა გამოეხატა დავით კლდიაშვილს, რომელსაც ქართველ სერვანტესსაც უწოდებენ.

ილია ჭავჭავაძეს მიაჩნდა, რომ: თუკი აკაკი წერეთელი მხოლოდ ლიტერატურული ინტერესებით შემოიფარგლებოდა და აქტიურად აღარ იქნებოდა ჩართული საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში, შექმნიდა „დონ კიხოტის“ ბადალ რომანს, აღსავსეს იუმორით, ირონიით, პაროდით, კომიზმით, მაგრამ აკაკი წერეთელი თავის მრავალმხრივ ტალანტს უფრო გადააგებდა საქვეყნო სატიკვარის წარმოჩენას, ისევე როგორც ილია ჭავჭავაძეც საზოგადოებრივი მოღვაწეობის გულისათვის შესაფერისად ვეღარ გამოიყენებდა თავის მხატვრულ აზროვნებას, თუმცა ამ მხრივ მაინც დაამჩნევდა კვალს ქართული ლიტერატურის განვითარებას და სატირითაც აღბეჭდავდა თავის შემოქმედებას.

აკაკი წერეთელი კი დიდ რეფორმატორად მოველინებოდა ქართულ ლექსს, როგორც მეოცე საუკუნეში გალაკტიონ ტაბიძე, მისი შემოქმედების კვლევისათვის ისევე რომ შეიქმნებოდა ცალკე დისციპლინა — გალაკტიონოლოგია, როგორც „ვეფხისტყაოსნის“ მეკლავარებს უნდა ჩამოეყალიბებინათ რუსთველოლოგია.

მიუხედავად იმისა, რომ XIX საუკუნის ბოლო ათწლეულებში ქართული ლიტერატურა თავის წვენი იხარშებოდა, ვაჟა-ფშაველა შექმნიდა საგმირო ეპოსს და ააღორძინებდა მითოსურ აზროვნებას ანუ აღასრულებდა ზუსტად იმავეს, რასაც ინგლისურენოვან ლიტერატურაში უილიამ ბატლერ იეიტსი, რომლის პოეზიაც და უფრო მაინც დრამატურგია განიმსჭვალებოდა წარმართობისდროინდელი გელური სულით.

როდესაც მოგვიანებით ჯეიმზ ჯოისს — „ულისეს“ შექმნისათვის — გამოაცხადებდნენ არამარტო მოდერნისტულ ძიებათა ნაკადის, არამედ სრულიად ახალი პროზის მედრომედ, ტომას სტერნზ ელიოტი საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ ერთ-ერთი არსებითი სახელი — ანტიკური და

თანადროული პარალელი და მისი მონაცვლეობა — სათავეს იღებდა იეიტსის მხატვრულ ნაზრევში.

ვაჟა-ფშაველას მონანილეობა არ მიუღია დასავლური მოდერნიზმის ჩამოყალიბებაში, მაგრამ ამ გადასახედიდან მისი ეპოსი — შემდგარი ხუთი პოემისაგან: „გველის-მჭამელი“, „ალუდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“, „გოგოთურ და აფშინა“ და „ბახტრიონი“ — დგება იეიტსის პიესების გვერდით და ერთხელ კიდევ გვიდასტურებს, რომ ლიტერატურის მდინარეებსა აქვს თავისი იდუმალი კანონები და ეს ინვესც დამოუკიდებელ, ერთმანეთისაგან სივრცით სრულიად დაშორებულ მოვლენათა თანხვედრას.

დასავლური მხატვრული აზროვნება კარგა ხანია გამოთხოვებოდა საგმირო ეპოსს, რადგანაც ამ ჟანრს ესაჭიროება ისეთი გარემო, სადაც რწმენა-წარმოდგენები და ყოფითი რეალობა ერთმანეთსაა გადაჭდობილი და მითოსური განცდები და შეხედულებანი ძალდაუტანებლად იჩენს თავს მოსახლეობის კულტურაში. მხოლოდ გონებით საგმირო ეპოსი ვერ შეიქმნება, ღმერთები და ღმერთებს შეტოლებული გმირები აბსტრაქციებს ვერ გაცდებდა და მთავარი ძარღვი დაიკარგება. ამიტომაც




ახორციელებდნენ საგანმანათლებლო მოღვაწეობას.

გრიგოლ რობაქიძე გახდებოდა არაოფიციალური წინამძღოლი ცისფერყანწელთა ორდენისა, რომლის წევრებიც ასევე ჩაებმოდნენ საგანმანათლებლო საქმიანობაში, თავიანთ შემოქმედებაში კი შეეცდებოდნენ მოერიგებინათ აღმოსავლური და დასავლური ნაკადები და მათი სინთეზი ექციათ ლიტერატურის გზასავალად.

ხანმოკლე აღდგენა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა ახალ სასიცოცხლო ენერგიას შემატებდა ქართულ მწერლობას და ზედამდე გამოჩნდებოდა რომანები, რაც მანამდე დამორბეობდა. გამოჩნდებოდა იმიტომაც, რომ თავიდან ქვეყნის ხელმეორე ოკუპაცია რუსეთის მიერ არ იქნებოდა ძალზე დამორგუნველი.

ვიდრე მტკიცედ მოიკიდებდა ფეხს ბოლშევიკურ-კომუნისტური რეჟიმი, ერთგვარ დათმობას ამჯობინებდა მწერლებთან, მერე კი თანდათან სულ უფრო მეტად მოუჭერდა ყულფს და სულაც გაუსაძლის გახდებოდა მწერალთა ყოფასაც, სისასტიკე ხელისუფლებისა უკიდურესობას რომ მიაღწევდა და ცენზურაც — რომელიც ვითომ არ არსებობდა — რედაქტორებთან ერთად ყოველწარადა შეეცდებოდა ლიტერა-



განიციდნენ მარცხს ამ ჟანრის აღორძინების მცდელობისას ტორკვატო ტასოც და ვოლტერიც. და თვით იოჰან ვოლფგანგ გოეთეც იფრთხილებდა და XIX საუკუნის დასაწყისში შექმნილ „ფაუსტს“ არა ეპოსს, არამედ დრამას მიაწერდა.

და აი იმავე საუკუნის დასასრულს საქართველოში უნდა შექმნილიყო საგმირო ეპოსი, ამ ჟანრისთვის ნიშანდობლივი ყველა თავისებით და იმ შინაგანი ძარღვით, რაც ვაჟა-ფშაველას უკვე ადვილად უნდა გამოეძებნა, ისეთ გარემოში იზრდებოდა — მთიან მხარეში, სადაც მოსახლეობის ცოცხალ განცდაში არსებობდა ძველი რწმენა-წარმოდგენები და ყოფითი რეალობა და მითოსური სული ერთმანეთისგან არც განეორჩეოდა.

ამიტომაც შეარქმევდნენ ვაჟა-ფშაველას ქართველ ჰომეროსს, მისი ეპოსი უჩვეულოდ რომ გამოიყურება:

ერთი მხრივ — სისხლი და ხორცი საგმირო ეპოსისა, „ოდისეასა“ და „გილგამეშინთან“ რომ გადებს ხიდს.

და მეორე მხრივ — ქართული მოდერნიზმის დამწყები შინაგანად დასავლური მოდერნიზმის სათავეშიც რომ გვესახება.

XIX საუკუნის მიწურულსა და მეოცის დამდეგს განდებოდა საშუალება, ქართველებს გაეღწიათ ევროპაში და ესწავლათ დასავლეთის ქვეყნების — უმთავრესად მაინც გერმანიის, საფრანგეთი, იტალია — უმაღლეს სასწავლებლებში.

როდესაც საქართველოში ძალიან გაძნელდებოდა პოლიტიკური ბრძოლა, არჩილ ჯორჯაძე პარიზში ფრანგულ ენაზე დააარსებდა ჟურნალს „საქართველო“ და ასე შეეცდებოდა ხმა მიეწვდინა დასავლური სამყაროსათვის ქართველთა სწრაფვაზე სახელმწიფოებრიობის აღსადგენად, კიდევ ერთი მწერალი რომ ამოუდგებოდა გვერდით — თედო სახოკია, რომელიც ერთ-ერთი შემომტანი იქნებოდა საქართველოში დასავლური ლიტერატურული სიახლეებისა გერონტი ქიქოძესთან, გრიგოლ რობაქიძესა და კონსტანტინე გამსახურდიასთან ერთად, ეს ორი — გარდა ესეებისა — საჯარო ლექციებითაც რომ

ტურის მოთვინიერებასა და ახალი რეჟიმის სამსახურში ჩაყენებას.

ამ ვითარებაში ერეკლე ტატიშვილი ოდნავ კომპრომისსაც არ დაყაბულდებოდა და ამიტომაც გადატეხდა კალამს და აღარაფერს დაწერდა, ძველებრაველი მომღერლებისა არ იყოს, რომელნიც ძენებზე ჩამოშკიდებდნენ თავიანთ ქნარებს, რაკი ვეღარ წარმოედგინათ სიმღერა ბაბილონურ ტყვეობაში. თუმცა ერეკლე ტატიშვილი შეეცდებოდა, ვიდრე დაატუსაღებდნენ, დასავლური ღირებულებებისათვის ეზიარებინა სტუდენტები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სადაც დააარსებდა უცხო ენათა კათედრას.

საზღვრები კი იმთავითვე ჩაიკეტებოდა დასავლურ სამყაროსთან და ქართული ლიტერატურა ვეღარ მოექცეოდა ევროპული მწერლობის წრეში, თორემ საზღვრები გახსნილი რომ ყოფილიყო და ჩვენს მწერლებსაც იქაურ ლიტერატურულ წრეებში ეტრიალათ, თუნდ კონსტანტინე გამსახურდიას სახელიც ბუნებრივად ჩაერთვოდა მოდერნისტ მწერალთა ჩამონათვალში და იმხანადაც და დღეისდღის გადასახედიდანაც ყველა ჩვეულებრივად აღიქვამდა მის ხსენებას ჯეიმზ ჯოისის, მარსელ პრუსტის, ოლდოს ჰაქსლის, ვირჯინია ვულფის, ანდრე ჟიდისა თუ სხვათა გვერდით, რადგანაც მის რომანს — „დიონისოს ღიმილი“ — მოდერნისტული ეპიკური ქმნილების ყველა ნიშანი ახასიათებს.

რაც შეეხება მის კიდევ ერთ რომანს — „მთვარის მოტაცება“ — ის არის ეპოქის სახიერი, მაღალმხატვრული დოკუმენტი, ოცდაათიანი წლების ტრაგიზმის გამომხატველი, ისევე როგორც ოციანი წლების ტრაგიზმი უნდა გამოეხატა მიხეილ ჯავახიშვილს მხატვრული სრულქმნილებით რომანში „ჯავახი ხიზნები“, რომელიც სიღრმისეულად უნდა გახსნილიყო ბოლშევიზმის არსი, 30-იან წლებში გრიგოლ რობაქიძესაც რომ უნდა გაეცხადებინა ეს არსი რომანით „ჩაკლული სული“, ოლდონ იმას — ემიგრაციაში მყოფს.

მიხეილ ჯავახიშვილი საუკუნის დასაწყისში გამოვიდოდა ლიტერატურის ას-

პარეზზე, მაგრამ — მიუხედავად წარმატებული დებიუტისა — მთელი არსებით გადაეშვეებოდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებში და მწერლობისათვის ვეღარ მოიცლიდა. საბჭოთა რეჟიმის დამყარებისთანავე მას დააპატიმრებდნენ და... თერთმეტჯერ გაიყვანდნენ დასახვრეტად... და ქართველ მწერალთა ჩარევა ისხნიდა ციხისაგან იმ პირობით, რომ პოლიტიკაში აღარ გაერეოდა. თუმცა მწერლობით გაცილებით მეტს მიაღწევდა და მკაცრ მსაჯულად მოველინებოდა ხელისუფლებას.

როგორც 1832 წლის შეთქმულების მონაწილეთაგან არაერთი ციხე-გადასახელებიდან თავდაღწევის შემდგომ მწერალი გახდებოდა, მათი მაგალითი ედგებოდა თვალწინ მიხეილ ჯავახიშვილს, როდესაც შექმნიდა რომანს „კვაჭი კვაჭანტირაძე“, იუმორის, ირონიის, პაროდის ფოიერვერკს, რომელშიც მკვეთრად იჭარბებდა სატირული ფერებიც.

ეს რომანი წარმოადგენს პიკარესკული ყაიდის ნიმუშს, ჟანრისა, რომლის დასაბამადაც ესპანეთს აღიარებენ, მერე მთელს ევროპაშიც რომ გავრცელდებოდა. და „კვაჭი კვაჭანტირაძე“ უკეთესთა შორის იკავებს ადგილს, თვით თომას მანის „ყალბთანდ ფელიქს კრულის აღსარებაც“ — რომ ფერმკრთალდება მასთან შედარებით.

გადაურჩებოდა 20-იანი წლების რეპრესიებს, მაგრამ ვერ გადაურჩებოდა დიდი ტერორის ხანას — დაგვირგვინებულს 1937 წლის უღმობელოობით, როდესაც გაინირობდნენ:

ცისფერყანწელებიც — ტიცინა ტაბიძე და ნიკოლო მინიშვილი, სწავლულებიც — გრიგოლ წერეთელი და ვახტანგ კოტეტიშვილი. პაოლო იაშვილს ვიდრე დააპატიმრებდნენ, მოასწრებდა და თავს მოიკლავდა მწერალთა კავშირის შენობაში, რითაც გამოხატავდა საჯარო პროტესტს ქვეყანაში გაბატონებული ტირანიისა და უშუალოდ ამ შენობაში არსებული განუყუთბლობისა და სისასტიკის გამო.

ნამდვილ მწერლებს საშუალებას მოუსპობდნენ მოღვაწეობისა, სამაგიეროდ წამოიწვედნენ ხელისუფლების მეხოტბე, მათი დავალებების მორჩილად აღმსრულებელი პროლეტარული მწერლები, საჯარო სასამართლოებსაც რომ უწყობდნენ თანამოკალმეებს, როგორ თუ კომუნისტური პარტიის გენერალური ხაზიდან გადაუხვიეთო.

არადა ამ ხაზიდან გადახვევა გახლდათ:

ბუნებრივი ადამიანური გრძნობები — სიყვარული, თანაგრძნობა, მიმტევებლობა, სიფაქიზე, სულიერი არისტოკრატიზმი, ეს ყოველივე ბურჟუაზიულ გადმონათვალ რომ შეირაცხებოდა და მის სრულ ამოძიკვას მოითხოვდნენ.

პოლიტიკურ იარაღებად გადაიქცეოდა და გარდევალ საფრთხეს შეიცავდა უწყინარი ლიტერატურული ტერმინები: ლირიზმი, სიმბოლიზმი, მოდერნიზმი, ავანგარდიზმი, ინდივიდუალიზმი, აღარაფერს ვამბობ დეკადენტიზმზე.

კლასობრივ მოვლენად შეირაცხებოდა მხატვრული სტილი და ხელისუფლება ცდილობდა ალექვეთა სტილის უფლება, სტილური თავისებურება. ყველას უნდა ეწერა ერთნაირად, გაზეთების ყოვლად უსიცოცხლო, მდარე, ანემიური ენით.

კლასობრივ მოვლენად შეირაცხებოდა გემოვნებაც.

უნდა გეწერა მხოლოდ პარტიისა და ბელადების დიდებაზე, რევოლუციურ რომანტიკაზე, კოლმეურნეობისა და კოლექტივის სიკეთეზე, ახალ აღმშენებლობათა განუსაზღვრელ მასშტაბებზე, რუსეთისა და პროლეტარიატის მხსნელ მისიაზე...

ის, რის დასახატადაც დასავლელი აბსურდისტებს ფანტაზიის დიდი გაქანება ესაჭიროებოდათ, ქართველ მწერალთათვის რეალიზმი გახლდათ, ნატურალიზმიც კი.

ხსენებაც აღარ შეიძლებოდა დამოუკიდებლობის სამწლიანი ხანისა, 1924 წლის აჯანყებისა, ქვეყნისათვის თავდადებული ადამიანები დამნაშავეებად ცხადდებოდნენ, სამაგიეროდ ხდებოდა უკეთურთა აღზევება და მათი სახელების ჩაბეჭდვა საზოგადოებრივ ცნობიერებაში, როგორც მონივნად და ღირსეული მოღვაწეებისა, სულაც გმირებისა.



ნინო მშვიდობაძე

წყაროს წყალი

უნდა გიყვარდეს — ისე არა, როგორც მხოლოდ ბუნება, ან მხოლოდ მინა... უნდა გიყვარდეს — ანუ გეტყინოს, როგორც საკუთარი სხეული, საკუთარი გული, არსაკიდის მოკვეთილი მკლავით უნდა განუხებდეს, თითქოს შენი იყო ის მკლავი, თითქოს შენ დაგტოვეს უმარჯვენოდ... გიყვარდეს — აქ ნიშნავს გტკიოდეს, გტკიოდეს — აქ ნიშნავს ბედნიერი იყო ტკივილით. ძნელია და რთული გასაგებად. მარტივი არც ქართველობაა. ცხრა მთას და ცხრა ბარს რომ გადაივლი ფეხშიშველა და ცხრა წყაროს წყალს საკუთარი პეშვებით რომ ჩამოიტან — მხოლოდ მაშინ მიხვდები უკვდავების წყაროს წყლის არსებობას. არც ზღაპარი დაწერილა ისეთი, სიმართლე რომ არ იყოს და არც იგავი თქმულა რომელიმე ტყუილად. უნდა გიყვარდეს — ანუ გტკიოდეს, რადგან რომ გტკივა, ბედნიერი ხარ... ძნელია სხვისთვის, მაგრამ შენ გახსოვს, შენ იცი, რადგან გენტიკური მახსოვრობა გაქვს... და გახსოვს ყველა შენი ფესვი, გადაჭრილიც და გადაუჭრელიც... და გიყვარს ყველა შენი ნერვი — ახალნაყარი თუ უკვე ნაყოფის მომცემი... და გტკივა, რადგან გახსოვს და გიყვარს, რადგან გტკივა... პეშვებში ნაგროვებმა ცხრა წყაროს წყალმა მოგიყვანა აქამდე... ცხრა მთის იქიდან ჩამოტანილ წყალს არასოდეს მოგაკლებ, საქართველოვ!

დარდისა იყოს

სადარდიანოს დარდობო, რად დარდობო — მკითხეს და გაიარეს. პასუხსაც არ დაელოდნენ, ანკი რაში სჭირდებოდათ პასუხი. დააგდეს კითხვა და წავიდნენ, გაუყვნენ თავიანთ გზასა. მე რა? სადარდიანოს დარდებით დავრჩი და კითხვებს ჩავუფიქრდი, უპასუხოდ დარჩენილებს, ყასიდად დასმულებს, წელში გაზნეილებს — ორსულ ქალებს ჰგვანან თითქოს, სადაცაა რომ უნდა მოიმშობიარონ... შენ რადარო? შენ რად აიკიდეო საქვეყნ-სამზეო სადარდელი? — დააგდებენ მხარზემოდან და გარბიან თავპირის მტრევეთ. ვერ მივსდევ მეც, არც ძალა მყოფნის და არც სუნთქვა — უემარისობა მაქვს: ძალის, სუნთქვისაც. ვრჩები და კითხვებს დავტკირი:

მხარზემოდან გადმონაძახებს, ნიშნისმოგებით თითქოს, ავისმომასწავებლადაც კი... რანაირად გავაგებინო, რომ საგანგებოდ არაფერი ხდება. მოვა, მომესტუმრება, გამიყურდება გულის მხარეს — დარდი — გაბუტული ბავშვით და არ მიდის, ვერც ვაგდებ — ატირებული ბავშვი როგორ გავაგდო. მერე ვცდილობ სიცილი ვასწავლო, ვასწავლო, როგორ გადამემალოს თვალების უკან და უმეტესად კი გამომდის, მაგრამ ვილაც რომ შემეფეთება და ყასიდ კითხვას დასვამს: რა გედარდებაო? მანდ ვფუჭდებით ორივე... ჩამოვსხდებით ყოფიერების ხმაურს გარიდებულ კუთხეში და ვტირით... რატომ სვამთ კითხვებს, თუ პასუხებს არ ელოდებით? არ გეცოდებათ მაინც ასე უმწეოდ წელშიგაზნეილები? მხარზემოდან დასმული კითხვები მედარდებიან და ვდარდობ

აღსარება

მარილის სვეტად არ ვიქცევი, ლოტის ცოლივით, განვეშორები ცოდვილ მინას, ცოდვილ ქალაქსაც, მე ასული ვარ მამაჩემის, კაცის — კეთილის, სტუმრის სანაცვლოდ დავთმობ ჩემ თავს ვიცი, თავადაც. არ მოგიხედავ უკან, ერთ დროს ჩემო სახლ-კარო, არ მოგიხანებ, არ ისურვე დახსნა რადგანაც, ლოტის შვილი ვარ, საკუთარი თავის დამთმობი, დამიმახსოვროს მსურს ასეთი ცოდვის ქალაქმა. ნინ, ნინ — იქ, სადაც კეთილსულად ჰგებებს უფალი, მარილის სვეტად არასოდეს გადავიქცევი. ეს მე ვარ, ლოტის ქალიშვილი — თავის-უფალი ვინყებ სიცოცხლეს ხელთავიდან და დავინყებით ცოდვის ქალაქის, ცოდვიანი ხალხის, ქუჩების, ვცარიელდები, რომ თავიდან ავივსო სული — მარადიული სიყვარულით, პირველსიტყვებით, პირველად ქმნილი გაცვებით და სინანულით. აჰა, უფალო, საზვარაკე კრავი ვარ თითქოს, გამოვექეცი მეზობელი კაცების ბილნ ფიქრს. მუხლებზე შენ წინ დამხობილი შენდობას ვითხოვ, უნდა იცოდე, რომ უშენოდ ძალიან მიჭირს. შეხე ჩემს თვალებს, სევდიანებს, უსაყვედუროს, შეხედე ხელებს, შენს ძებნაში ესოდენ დაღლილთ, ჩემს ნილ სამშობლოს შეგავედრებ, ჩემო უფალო, ჩემს ნილ სამშობლოს — შეინყაღე მარადი ბავშვი...

დალის ნატირალი

სად ვიარე, სად არ ვკრიფე იანი, მაგ თვალების ფერი ჰქონდათ იებს... რა გინდოდა, რას მერჩოდი, წყეულო, სიყვარულის ნექტარით რომ მძლიე? სიზმარ-სიზმარ მოვიარე კლდეები, თმა გავშალე — დამესავით გრძელი... შემოგბედე კრძალვითა და ვედრებით: თამარივით გყვარებოდი, ბეთქილ... არ მისმინე, ყური არცკი მათხოვე, თამარს მიეც საჩუქარი ჩემი, ჩემი ხმაა — შენ რომ ქარებს გაგონებს, ეს მე ვტირი, ეს მე ვბლავი, ბეთქილ. სიკვდილივით ცივი გავხდი, სასტიკიც, გავიმკაცრე ხასიათიც, სახეც... ერთგულეხას სიკვდილამდე დამპირდი, ლანდზე სწრაფად თურმე მილალატე... ჯიხვს ნუ მისდევ, ჯიხვი მე ვარ, ბედკრულო, დავატარებ ნალალატე გრძნობას, ეს მე ვდგავარ ქარაფებზე ეული, ეს მე გწყევლი, უკვე აღარ გლოცავ... სიზმარ-სიზმარ მოვიარე კლდეები, გავიშალე დალალები გრძელი... აღარ გელი, აღარც მეიმედები, სიკვდილი დგას ამ კლდის ქიმზე, ბეთქილ. დაგტირებ, როგორც სატრფოს შეჭფერის, მეც ჩავიცვამ კოჭებამდე ძაძებს, მესმის კვნესა ამ ვეება კლდეების, ვხედავ, თმები გაუშლიათ ქალებს. ვდგავარ კლდეზე, თმაგამლილი ნანალი — ვგავარ შენი სიყვარულით შეშლილს, მე ვარ შენი თმაგამლილი ლელატი, ისეუ ნაცად, მიშგუ ლირდე, ბეთქილ.

ფორთოხალი

უნდა მეცხოვრა ფორთოხლისფერ სახლში, ფორთოხლისფერი ფარდებით ფანჯრებზე, ეზოში უნდა ყოფილიყო ბროწეულებსა და ფორთოხლის ხეები, მე უნდა მცმოდა ყვივითი კაბა და მეტარებინა მზის გულსაბნევი, მე უნდა მყოლოდა ქერთიანი შვილები, კისერში ფორთოხლის სურნელებით უნდა ვმჯდარიყავი ფორთოხლისფერ აკვანთან და მემღერა ჩემებური იავენანა, ყველაზე უცნაური იავენანა სამყაროში. ჩემს ქმარსაც ფორთოხლის სუნი უნდა ჰქონოდა და ქერა თმები და თვალები სავესე მზით მე უნდა მეცხოვრა ფორთოხლისფერ სახლში ახლა უბრალოდ, ვოცნებობ, სანამ ოცნებების ძალა და უნარი ჯერ კიდევ შემომრჩა, სანამ წლებმა საბოლოოდ არ დამამსგავსეს ოცნებანართმეულ ქალებს, დაღლილი მზერით და უმზეო თვალებით და რაკი არ მინდა მათ ვგავდე, ხელჩანთით მუდამ დავატარებ ერთ ცალ ფორთოხალს.

ყიფიანადი

ძალიან გულახდილი ლექსი არაფერი გამომდის, არც ცის იწერება, აღარც მინის. დრო კი არ გაჩერდა, მე გამაჩერა დრომ, უფრო სწორად შემატორტმანა. რომ შემძლებოდა, ექვს შვილს გავაჩენდი, ისიც კი ვიცი, რას დავარქმევდი ან ნათლებად ვის ავირჩევდი. როცა შვილებზე ვოცნებობდი, ქმარიც მყავდა და გათხოვილი ქალიც მერქვა, ახლა აღარ ვოცნებობ, ახლა უბრალოდ, ვიცი, რას დავარქმევდი, რომ მყოლოდა. სურვილი და შესაძლებლობაც კი ამოკვეთილ საშვილოსნოს თან გავყვა. თქვენ გგონიათ ძალიან განვიცდი? არა, მე ხომ სიცოცხლის დიდი სიყვარულით დავიბადე. მას, ვისაც ასე უყვარს სიცოცხლე, არ შეუძლია იაროს დაღრეჯილმა: დაე, მხოლოდ ბალიშმა იცოდეს მარტოქალის ცრემლის სიმძიმე. დიდი ხანია სხვადასხვა როლი მოვირგე, ერთი კი არა, რამდენიმე ქალი ვარ,

კაცმა არ იცის, ვინ როდის გაიცინებს, მაგრამ ყველამ ერთად თუ დაინყო სიცილი, განმერიდეთ, რადგან არასოდესაა ქალი ისე საშიში, ვიდრე მაშინ, როცა იცინის. მე ხომ მაინც ვიცი,

რა იმალება ამ გარეგნული გულუბრყვილობის მიღმა თვალეში მომწყვდეული ჭინკებით დავდივარ, თაიგულად შეკრული მზის სხივებით, სხვებს კი ჰგონიათ, გაზაფხულის ვარ, სინამდვილეში შემოდგომას ვგავარ ძალიან, უფრო ნოემბერს — საკუთარ თავში დამალული ფარული სევდით, უნაყოფობის, კარს მომდგარი სიცივისა და დასასრულის ფარული სევდით.

დედობის სურვილიც და შესაძლებლობაც ამოკვეთილ საშვილოსნოს გაჰყვა, დარჩა მხოლოდ იმედეგაცრუებული ხელები და ყიფლიბანდის სურნელიანი სახელები, რომლებსაც ჩემს შვილებს დავარქმევდი, რომ მყოლოდნენ.

ისიც კი ვიცი, რა ფერის თვალეები ექნებოდათ, ქმრის თვალეები აღარ მახსოვს, თორემ დაუბადებელი შვილების თვალეები ყოველ ღამით მესიზმრებიან.

არ ვდარდობ-მეთქი, სადაცაა ინათებს და მე ახალ სიტყვებს გავაჩენ, საკუთარი თავის გადასარჩენად.

აკვდრის მონოლოგი

ჩემს დამტირებელს სათქმელს რა გამოუღევს, იტყვის: სიცილი უყვარდაო, ხმაური უყვარდაო, სიცოცხლე უყვარდაო. დანახვა რომ შეემცირო, დამინახავენ, იქვე მდგარი თავს როგორ ვუქნევ: კი მიყვარდა, ახლაც მიყვარს-მეთქი. ვის გაუგონია მკვდრები საუბრობდნენ, არადა, საუბრობენ, არ გვესმის მხოლოდ, რადგან საზღვრები დავანესეთ, ზღუდეები აღვმართეთ, გოდების ზღუდეები. სიკვდილსაც არ უნდა ასეთ დღეში ჩაგვაგდოს, ვერ ვუგებთ, თორემ მასაც ვუყვარვართ. თქვენი არ ვიცი და მე მიყვარს. ჰოდა, ჩემი დამტირებელი რომ იტყვის, სიცოცხლე უყვარდაო, სიკვდილიც-მეთქი, ვუპასუხებ, რადგან გიყვარდეს სიცოცხლე, ნიშნავს გიყვარდეს სიკვდილიც. ჩემი დამტირებელი არც ლოყებს დაიხოკავს და არც თმას გაიშლის, მშვიდად დამტირებს, შესაძლოა, სიცილითაც კი და იმ მხიარულ ამბებს გაიხსენებს, თავს რომ გადამხდენია. ტკივილებს არ გავახსენებინებ, ან რა საჭიროა, ჩემი ტკივილებით იქითაც გავიპრანჭები, იქაურობასაც შევავლებ ჩემს შოკოლადისფერ თვალებს და მე რომ მელოდება, იმ მარადიულ ბიჭს ხელსაც კი დავუქნევ: მოვედი, დამინახე, შემეგებე-მეთქი რა კარგია, რომ იქით მაინც არ არსებობს საზღვრები. ჩემს დამტირებელს სათქმელს რა გამოუღევს, იტყვის: სიცილი უყვარდაო, სიცოცხლე უყვარდაო. იქვე ვიქნები და თავის ქნევით დავეთანხმები.

ვერ შეგიყვარე... ვერ შეგიყვარე... ნაიარევედ დამიტოვე თვალეები თითქოს... ვერ შეგიყვარე... ვერ მოგენდე... ვერ შეგიტოვისე... გაგერიდე და ახლა მაინც შენს სულზე ვფიქრობ... როგორ გატკინე... თავად ვიცი, გატკინე როგორ — გული, რომელიც ფიანდაზად ღამის გამიგე... შენ მადარებდი მარგალიტს, ობოლს, რომელიც ფსკერზე იპოვე და ბედისწერამ გულზე დაგიკიდა... მაინც ვერა... ვერ... შეგიყვარე მაინც ვერაფრით...

რა ვქნა, სად მე და სად ასეთი თაყვანისცემა... ნუ, ნუ მეძახი... გეხვეწები, ნულარ მეძახი... ნუ ამიჩქარებ ჩემს ისედაც ჩქარ მავჯისცემას... ჩემთან ცხოვრება არ იქნება იოლი შენთვის... ჩემში დანთებულ ხანძარს, აბა, როგორ გაუძლებ... ზღვას რომ ესვრიან ნაპირიდან, მე ვარ ის კენჭი, ზღვაც მე ვარ, თითქოს, ყველა კენჭს რომ უკან აბრუნებს... ვერ შეგიყვარე... ნაიარევედ დამიტოვე თითქოსდა მზერა... რა ვქნა, ასეთი გამაჩინა განგებამ, ვხვდები... მე ვარ ის ლექსი, პოეტმა რომ ველარ დაწერა... ალბათ, ამიტომ ვამჯობინე გზებს ბილიკები...

დედა-შვილისა

მე და შენ, შვილო, ან ჩვენ, ანდა, სულერთი არის: როგორ, რაგვარად, რანაირად, ან რა ფერებით მოვედით დღემდე, გაცვეთილი ფეხსაცმელები მაცვია ახლაც, შემომაცვდა ნაჩუქარი (სამადლოდ) პალტოც, გრძელი რომ იყო ადრე, ოდესღაც. ეგ არაფერი, მთავარია, შენ არ შეგცივდეს... არ გამიცვიდე, არ გეტკინოს, არ გამეყინო... მე და შენ, შვილო, ცრემლები რომ ვყლაპეთ პურივით, წვიმის წვეთები შევაცოლეთ ჩვენი მეზობლის მყუდრო ბინიდან გამომავალ სურნელს — წვნიანის... ვინ კითხულობდა: სად ვპოულობდი ძალას, რომ შენ თბილად მყოლოდი... ან გაგეცინა, გეთამამა, გეცეკვა თუნდაც ხელებგაშლის და თმაგანწილს, დახეული ფეხსაცმელებით, გეცეკვა მაინც... მე და შენ, შვილო, ან ჩვენ, ანდა როგორაც არის: ცრემლები რომ შევაცოლეთ პურის ყუას და წვნიანის ნაცვლად წვიმის წვეთებს რომ შევექეცით, მოვედით დღემდე და ჩვენი სუსტი, ანურული, გამხდარი მხრებით, სიყვარულად მოვედეთ მიწას: ხანდახან ასე უმოწყალოდ სასტიკს და უნდოს... მე და შენ, შვილო, განწირულნი სიღარიბისთვის, ხვალ რომელიმე ქუჩის კუთხეში ხელგანწილი დავდგები ისევ, რომ პური მაინც მოგიტანო სახლში დარჩენილს...

მჭირღე

მჭირღეს — შენი სუნთქვა ნეტავ, გადამედოს შენი სევდა, თავხედი ვარ, შენ სიყვარულს მართლა თავხედურად ვბედავ. თოვდეს — შენი ლექსის თოვა იყოს, მეძახოდეს გარეთ, ვიცით, რომ აპრილიც მოვა, მოვა, გაზაფხულიც — მაღე... სანამ გადავივლით ხიდებს, სანამ გზები გაიყოფა, მინდა სახადივით მჭირღე, ეს სიცოცხლე არ მეყოფა, რომ ბოლომდე შეგიგრძნო და რომ ბოლომდე დამიჭირდე,

მინდა, თოვდეს შენი ლექსი, შენი სუნთქვის სითბო მჭირღეს... მჭირღე... გჭირღე... ჭირად არა... სითბოდ, სევდად, სიყვარულად... მოვალ მაღე, ჰო, მოვალო, დამიბარა გაზაფხულმა... მოდი, მოვალ, ერთად წავალთ, სად აპრილი ჩამოგვათოვს ფიფქად იასამნის ყვავილს... არ გაგიშვებ არსად მარტოს, არ იყავ და მაინც მყავდი... ჰოდა, მჭირხარ... სევდად, სითბოდ, სიყვარულად მჭირხარ ახლა... ჩემში ხარ და ჩემში სახლობ... შენი ღიმილებიც დამაქვს... მინდა მჭირღეს შენი სუნთქვა, შენეული ფიქრიც მჭირღეს... ჰაერივით მუდამ მსურხარ... ბილიკი ხარ ჩემი — მზისკენ რომ მიდის და რომ მივყვები, მჭირღე, გჭირღე, ახლოს ვიყო... მე იმ ზღაპარს მოგიყვები, ზღაპარივით რომ არ იყო... მჭირღე... მინდა შენ რომ მჭირღე... სანამ დაწყვეტილან გზები... ტკივილებზე სალბუნად და ნამლად დაგეფოფინები... მინდა მჭირღე...

ქველთობის* ბოლო, და ძალიან მკვეთრი ფერები, ინერებოდა ზენობიას ისტორია ნეკერჩხლის ხესთან... არ ვარ სულელი... ბედისწერას ვეჯიუტები და ყველაფრის მიუხედავად, ვამბობ: მიყვარხარ — პერსეფონეს ჩემი ჰადესი... ქველთობის ბოლო... მზე შეჩერდა მგონია, ცაზე...

*ქველთობის თვე — აგვისტო.

თოლიბა

ცა ქუდად, მიწა ქალამნად — არცკი, თვალეები — ფერად გიშრისფერები. და სადღაცადან მორეკილ ქარებს და ვილაცისგან მორეკილ ქარებს, ვიცი, რომ მაინც მოვეფერები. ქარებსაც ჰყვანან მარეკები, ერეკებიან, მიერეკება ეს ცხოვრებაც ჩემს წუთებს, ნამებს, მე ცა ქუდად მაქვს, დედამინა ვერ ვიქალამნე, ფეხშიშველი ვარ, სულშიშველიც ვიქნები ბარემ... იმსიდიდოა ყველა ფიქრი, გაძლება მიჭირს, ბევრეულია ეს ტკივილიც, ვზიდავ ეულად... და გამორეკილ ქარებს მიაქვთ — აქვთ ამის ნიჭი — ჩემი სიზმრები, შიშებისგან ქვად რომ ქცეულან... ერეკებიან მარეკები ქარებს მუდმივად, მე დედამინა ქალამნებად ველარ მოვირგე, დაპატარავდა ჩემი ქუდიც — მომიჭირა ცამ და თავშიშველიც ვივლი ახლა, ჩემო თოლიგე, ოღონდაც შენი იარების ვიქცე მალამოდ, გადაგირეკო წვიმებიც და ღრუბლებიც ციდან, თუ ქარს გავყვები, გვეედრები, არ მომიდარდო, იქაც შენ ტკივილს მარტოობით დალლილი ვზიდავ... ცა ქუდად მექცა, დედამინა ვერ ვიქალამნე, ვარ ფეხშიშველი, სულშიშველიც ვიქნები ბარემ...

დასასრული

განუკითხაობა შეინარავედა არამარტო მართლაც ღირსეულ პიროვნებებს, არამედ მედროვეებსა და ხელისუფლების მესობტვითაც, რადგან არავის უნდა ჰქონოდა იმედი, რომ გადაურჩებოდა ტერორს, თუნდ ხელისუფლებასთან დაახლოებით. ამიტომაც ის მწერლები, რომლებიც წინადლით სხვებს სდებდნენ ბრალს ღალატსა და მავნებლობაში და აცხადებდნენ ხალხის მტრებად, მეორედ დღეს თვითონვე შეიძლებოდა დასჯილიყვნენ, როგორც ხალხის მტრები.

კრიტიკა გადაიქცეოდა საიდუმლო სა-მსახურის უშუალო დანამატად და ფილ-იალად და ექნებოდა სადამსჯელო ფუნქ-ცია, როგორც მწერალთა კავშირის კრე-ბებს.

როდესაც ფრანგი რევოლუციონერე-ბი გილიოტინაზე აპყავდათ, მათ ჰქონდათ საშუალება, სიკვდილის წინ სიტყვით მიე-მართათ ხალხისათვის და ჰეროიკულად აღსრულებულიყვნენ, ზოგიერთი მათი გა-მონათქვამი ფრთიან ფრაზადაც რომ რჩე-ბოდა საზოგადოების ხსოვნაში.

კომუნისტური ჟამი ამის უფლებასაც არ გიტოვებდა — მალულად იჭერდნენ და აქრობდნენ ამომიზნებულ ადამიანებს, ხში-რად ოჯახებსაც რომ თან მიაყოლებდნენ, და ჭირისუფლებმა და გულშემტკიცებრე-მა აღარც კი იცოდნენ, ეს ადამიანები ცო-ცხლები იყვნენ თუ დახოცილნი. ყველას სახელს რომ უტყუებდნენ, ეს თავისთავად. მერე კი მათი სხელებაც იკრძალებოდა.

ნამდვილი მწერლობა და ნამდვილი ის-ტორია იატაკქვეშეთში გადაინაცვლებდა, მალულად რომ ეცნობოდნენ და ერთმა-ნეთს გადასცემდნენ ნაწერებად თუ ზეპირ-მეტყველებით — უკეთესი დროის მოლო-დინში, რისი დადგომაც სწამდათ და თაო-ბები შეენიერებოდა რუსული კაბალისაგან თავდალწევას.

არაერთი მწერალი და სწავლული მოიე-ლიდა ციხე-გადასახლებას, განსაკუთრე-ბით რომ გაუგრძელებდნენ ლევან გოთუას — 22 წელი რომ იმყოფებოდა საკონცენტ-რაციო ბანაკებში, და ვორკუტის ბანაკში უმძიმეს პირობებში მოახერხებდა დაენერა და ფურცელ-ფურცელ გამოეგზავნა სა-ქართველოში ოთხტომიანი რომანის — „გმირთა ვარაზი“ — პირველი ნიგნი, გამო-გზავნის ამ პროცესში თერთმეტი პატიმა-რი რომ მონაწილეობდა და ერთიც არ აღ-მოჩნდებოდა გამცემი, თორემ ტრაგიკუ-ლად დასრულდებოდა მწერლისაც და მის თანამზრახველთა არსებობაც.

ამ ისტორიულ რომანში წარმოსახე-ბოდა XVI-XVII საუკუნეთა მიჯნის საქარ-თველოს ცხოვრება, უფრო მეტად კი — ჩვე-ნი ქვეყნის მომავალი, სახელმწიფოებრი-ობადადგენილი რომ უნდა ჩამდგარიყო მსოფლიოს სხვა სახელმწიფოთა გვერდით, მათ თანაბრად და უშუალო მონაწილედ კაცობრიობის ცხოვრების მდინარებისა.

ისტორიული თხზულებანიც იდევნე-ბოდა საბჭოთა იდეოლოგიისა და რეჟიმის მოთხოვნით, როგორც წარსულის გაიდე-ალების დანაშაულებრივი მცდელობა, თა-ნაც გარეგნულად გარდასული დროის იე-რი და ანტიურაჟი მარჯვე საფარველი გახ-ლდათ თანადროული უმწვევარეობის პრობლე-მების წარმოსაჩენად, თუნდ კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“ თითქოსდა XI საუკუნის საქართველოს რე-ალობის წარმოჩენით სინამდვილეში თვალ-ნათლივს ხდოდა თანადროული ყოფის ტრაგიაზმს — ხელისუფლების მწარე ხვედრს ტირანულ სახელმწიფოში.

პატრიოტული და ისტორიული თემა-ტიკის გამო დაჭრიდნენ ლადო ასათიანის პოეტურ კრებულს „წინაპრები“, რაც პოე-ტს გაუმწვევებდა სწეულებას და მალე გა-რდაიცვლებოდა.

კარგა ხნით გადაიდებოდა ანა კალან-დაძის პირველი პოეტური კრებულის გამო-ცემა, როგორც სალონური ყაიდისა, რე-ლიგიური საგალობლების ელფერიც რომ გადაჰკრავდა.

ასეთ უმძიმეს პირობებში მწერლობა მა-ინც ისტორიას აფარებდა ხოლმე თავს, ზღა-პარს, იგავს, მაგრამ ცხადია სულ სხვა შთა-მბეჭდაობა აქვს, როდესაც თანადროულ სინამდვილეს გამოხატავ და ამხელ ათას-გვარ უმსგავსობას, რასაც ხელისუფლება ზიზილ-პიპილებით ამკობს.

ოთარ ჩხეიძეს სწორედ თანადროული რეალობა უნდა წარმოესახა:

„ჯებრით“ თვალნათლივი გაეხადა კოლმეურნეობის დამაქცევარი როლი ქე-ყენის მეურნეობასა და ეკონომიკაში და იდ-უმალი ხიდი გაედო მიხილ ჯავახიშვილის მოთხრობასთან „დამპატიჟე“, რომელშიც ნაწინასწარმეტყველები იყო კოლმეურნეო-ბისაგან მოსალოდნელი უმძიმესი შედეგე-ბი.

ამ მოთხრობისთვისაც ინგნევა მწერა-ლი ჩეკისტური კრიტიკის თავდასხმებს, ის-ევე როგორც მისი სულიერი მემკვიდრე ოთარ ჩხეიძე — „ჯებრისთვისაც“, და გან-საკუთრებით მაინც სატირული რომანები-

50-იანი წლების რუსულ ლიტერატურ-აში მოხდებოდა ის, რაც ქართულ ლიტ-ერატურას 20-30-იან წლებში უკვე გამოეხატა მიხილ ჯავახიშვილისა და კონსტანტინე გამსახურდიას რომანებით.

მარქსისტული სისტემის მხილებაც თუ ვინმეს, ქართველ მწერალს უნდა გაეებდა, თუმც ოთარ ჩხეიძის სახელს მიაჩმათებდ-ნენ, განსხვავებით იმ რუსი მწერლებისა-გან, რომელთაც თან თითქოს არა წყალობ-და ხელისუფლება და თან სახელსაც უქმ-ნიდა.

როდესაც ალექსანდრ სოლჟენიცინი

როსტომ ჩხეიძე

განთიადიდან განთიადამდე ქართული ლიტერატურის მერმისისათვის



სათვის: „ბურუსი“ და „მეჩეჩი“ — თუმც და-პატიმრებას გადაურჩებოდა — 50-იანი წლების შუა ხანებში და სახელისუფლებო ცვლილებათა ფონზე მაინცდამაინც ვედ-არ მოიცლიდნენ მწერალთა უფრო მკაც-რი რეპრესიებისათვის — აკმარებდნენ სა-სტიკ კრიტიკას, კიდევ ერთი რომანის — „ცთომილი“ — ამოგდებას ჟურნალის ფურცლებიდან, იმ ორ რომანს წიგნად აღ-არ გამოუცემდნენ და საერთოდაც ძალიან გაუძნელებდნენ ბეჭდვას.

ეს რომანები გახლდათ მძაფრი კრიტი-კული შეტევა არა საბჭოთა ყოფის რომე-ლიმე მხარეზე, არამედ მარქსისტულ იდეო-ლოგიასა და მთლიან პოლიტიკურ რეჟი-მზე, „ბურუსში“ მწერალი გვერდით რომ დაუდგებოდა დასახურად განწირულ ფსი-ქოლოგიის ინსტიტუტს და ასაკრძალად გადადებულ მსოფლიო მასშტაბის მოვლენ-ნას დიმიტრი უზნაძისა — განწყობის თეო-რიას.

როდესაც იმავე ხანებში ბორის პასტე-რნაკი იტალიაში მალულად გამოაქვეყნე-ბდა რომანს „ექიმი ჟივიაგო“ და ამისათვის წინაპატიმრობა მიესჯებოდა, ეს რომანი წარმოსახავდა წესიერი, პატიოსანი კაცის მძიმე ყოფას, რაც მიაწინებდა მკითხველს, რომ ამ ქვეყანაში მთლად დალაგებულად არ იყო საქმე.

საქვეყნოდ გამოიტანდა საკონცენტრაცი-ო ბანაკების საზარელ ყოფას დოკუმენ-ტურ მასალებსა და მემუარულ ჩანაწერე-ბზე დაყრდნობით, ამ წიგნებს — როგორც სტალინიზმის მხილებას — მწვანე შუქს აუნთებდა ხელისუფლება, რადგანაც სო-ლჟენიცინი სწორედაც სტალინიზმს უპი-რისპირდებოდა და არა რუსეთის იმპერი-ალისტურ მისწრაფებებს, რასაც თანად-გომას უცხადებდა.

ხოლო როდესაც ქართველი მწერლე-ბიც ამხედდნენ საკონცენტრაციო ბანა-კების სამხელებს, კონსტანტინე გამსახ-ურდიას ვერც გამოაქვეყნებდა თავის მოთხ-რობას, ლევან გოთუა კი ვაი-ვაგლახით დაბეჭდავდა, ოღონდ ცენზორული ჩარე-ვის მერე.

ასევე ეპყრობდნენ რუსები თავიანთ ემიგრანტ მწერლებსაც.

ვიდრე ცოცხლები იყვნენ და აგრძელებ-დნენ მწვანე პოლემიკას კომუნისტურ მმართველობასთან, მათ არც კი ახსენებდ-ნენ, მაგრამ გარდაიცვლებოდნენ თუ არა, გამოქვეყნებითაც აქვეყნებდნენ მათ ნან-ერებს — გარდა იმ თხზულებებისა, რომ-ლებშიც უშუალოდ გაისმოდა საბჭოთა რეჟიმის მძაფრი კრიტიკა — ნარკვევებ-საც წერდნენ მათზე, მონოგრაფიებსაც და დისერტაციებსაც იცავდნენ.

ქართველი მწერლებისა თუ სწავლუ-ლების სხელები მათი გარდაცვალების შემ-დგომაც იკრძალებოდა და ამიტომაც არ შეიძლებოდა გაჭაჭანებულიყო გრიგოლ რობაქიძის, მიხაკო წერეთლისა თუ ვიკტორ ნოზაძის სახელები.

არ გამოიტოვებდა, რომ: რამდენიმე ისეთი ლექსიკონი შედგე-ბოდა, ნაცვლად მოკლე განმარტებებისა, მინიატურების და არცთუ იშვიათად ნოე-ვლებიც გამოიკვეთებოდა, პირწმინდად ენობრივ-ეტიმოლოგიური ძიება-დაზუს-ტებისა, ეთნოგრაფიული მასალაც უხვად შემოვიდოდა მსჯელობაში, ფოლკლორუ-ლიც, სოციალურიც, ისტორიულიც, ად-ათ-ნესების წარმომჩენიც.

თედო სახოკიას „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“ და გიორგი შატბერაშვი-ლის „თვალადური ქართული ჭაშნიკი“ უფ-რო სოფლურ ყოფას წარმოაჩენდა, იოსებ გრიშაშვილის „ქალაქური ლექსიკონი“ უფრო თბილისისა, და ინახავდა იმ ყოვე-ლივეს, რაც ჩვენს თვალწინ წელ-წელა იკა-რგება თუ შორეულ ანასხლებებად რჩება.

მათი ორიგინალური აღნაგობა ძალ-დაუტანებლად მოგაკონებთ მილორად პა-ვიჩის რომანს „ხაზარული სიტყვისკონა“, რომელიც თავით ბოლომდე მწერლის მხ-ატვრული წარმოსახვით არის შექმნილი, ქართული ლექსიკონები კი დოკუმენტურ მასალებს ეყრდნობა.

და თუკი „ხაზარული სიტყვისკონა“ პი-რწმინდად მხატვრული ქმნილებაა, თედო სახოკიას, იოსებ გრიშაშვილისა და გიორ-გი შატბერაშვილის ნამუშევრები შეგვიძ-ლია გავიაზროთ როგორც მხატვრულ-დოკუმენტური რომანები, ერთგვარი პოს-ტმოდერნისტული ყაიდის ქმნილებანი.

მნიშვნელოვანი განახლება მოხდებო-და 50-იან წლებში და ამ პროცესში თვალ-საჩინო როლს შეასრულებდნენ ჟურნალ-ების — „მნათობი“ და „ცისკარი“ — რე-დაქტორები: სიმონ ჩიქოვანი და ვახტანგ ჭელიძე, ერთი — ინტელექტუალური პოე-ზიის გამოკვეთილი სახე, ტომას სტერნზ ელიოტისთვისაც რომ შეუდარებიათ ამ მხრივ; და მეორე — მთარგმნელი და სა-ქართველოს საყმანვილო ისტორიის შემ-

ქმნელი, ჩარლზ დიკენსის „ინგლისის საყ-მანვილო ისტორიის“ მსგავსად.

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლო-ბის აღდგენა 1991 წელს საქართველოსაც გაუხსნიდა ლიტერატურის გზებს დასავ-ლეთთან.

მანამდე თუ უმთავრესად შუბოჩილები ვიყავით რუსული წყნდებით ამ სფეროშიც — რაც რუსულად არ თარგმნილიყო, არც ჩვენ გვქონდა მისი თარგმნის უფლება. კუპიურებით თუ თარგმნიდნენ რუსები, ჩვენც შესაბამისი ადგილები უნდა ამოგვე-ყარა ჩვენი თარგმანებიდან — ახლა ხელს აღარაფერი გვიშლის და ინტენსიურად ამიტომაც ითარგმნება უამრავი რამ, მათ შორის ესპანურენოვანი სამყაროდანაც, მანამდე თითოთოროლა ნიმუში რომ მოგვე-ძეგებოდა, ახლა კი ნიგნი ნიგნს ემატება.

ქართული ლიტერატურის ნიმუშებიც სულ უფრო ხშირად ჩნდება უცხოურ ენ-ებზე, მაგრამ ეს მაინც კერძო ცდებად რჩე-ბა და მივისწრაფით იქით, რომ:

ქართული ლიტერატურა შემოვიდეს და დამკვიდრდეს დასავლურ კულტურულ სივრცეში, როგორც მისი სრულფასოვანი ნაწილი, უიმისოდ რომ ვეღარ წარმოედგ-ინოთ დასავლელ კრიტიკოსებს ევროპულ-ამერიკული სამწერლო პროცესების გა-აზრება-შეფასება.

და არამარტო კლასიკური მონაპოვა-რისა.

დღესდღეობითაც მრავალმხრივ საგუ-ლისხმოა ქართული ლიტერატურის მდი-ნარება, მისი პოეზიაც, პროზაც, დრამა-ტურგიაც, კრიტიკაც — სავეს ათასგვარი ნაკადით და თვალსაჩინო მიღწევებით, რო-მლის გაცნობაც გაამდიდრებს დასავლე-ლი მკითხველის ცნობიერებასაც და თვალ-სანიერსაც.

მთავარი ძარღვი ჩვენი ლიტერატური-სა დღესაც შენარჩუნებულია და დასავლე-თსაც არანაკლებ უნდა დაეჭირდეთ, ვიდრე ჩვენ გვჭირდება დასავლეთი.

ხვალ რომ აღარ ითქვას შტეფან ცვა-იგივით:

საქართველო, ქართული კულტურა და ლიტერატურა სამარცხვინოდ ჩვენთვის, ევროპელთათვის, უცნობიაო.

და ხვალ რომ ითქვას შტეფან ცვაიგიე-ვით:

ქართული განთიადის შემონათება ევრ-ოპულ სივრცეშიო.

ამიტომაც დღევანდელი დღე და მონა-წილეობა ესპანურ ლიტერატურულ ფეს-ტივალში უნდა ვიგულისხმოთ ერთ-ერთ რგოლად ამ უმნიშვნელოვანესი პროცესი-სა, ერთ-ერთ ხიდად კულტურებს შორის, ერთ-ერთ გადასხნად გულისა იმ უცნობებს შორის, ხვალ და ზეგ უამრავი საერთო რომ უნდა აღმოაჩნდეთ და ერთმანეთთან შინ-აურულად იგრძნონ თავი.

თავიდან ვაპირებდი მოკლე მიმოხილ-ვის ჩართვასაც, თუ რა თარგმნილა ქართუ-ლად ესპანური და ესპანურენოვანი ლიტ-ერატურიდან, და შემოვარგულყოფიყავი მხოლოდ საუკეთესო ნიმუშებითა და შესა-ფერისი ამტყვევლებით ქართულ ენაზე, მაგრამ ეს მოკლე მიმოხილვაც ისეთი ვრ-ცელი აღმოჩნდა, თვალსა რომ მივადევნე, უსათუოდ ცალკე მოხსენებას დაისაჭირო-ებს.

საამისო საშუალებაც მოგვეცემა.

მოგვეცემა საშუალებაც იმისა, ესპან-ელმა კრიტიკოსებმა თუ მკვლევარებმაც მიმოხილონ ქართულ ლიტერატურულ ნიმუშთა თარგმანებიც, როგორ შეერწყმის ეს ყოველივე ესპანური მწერლობის მდინა-რებსა, თანამედროვე ქართული პოეზიის ანთოლოგიური ყაიდის გამოცემის გულ-დასმით გაცნობის დროც რომ გექნებათ და ეს მცირე ნობათიც გაგიღვივებთ ცნო-ბისნადილს ქართულ პოეტურ რეალობა-ში — საერთოდაც ქართულ ლიტერატუ-რულ რეალობაში — უკეთ გასარკვევად.

ნიმანდობლივია:

ამ კრებულის მომზადების თაოსანი რომ იქნებოდა ლანა კალანდია, არამარ-ტო შესანიშნავი მთარგმნელი ესპანურენო-ვანი მხატვრული მიღწევებისა, არამედ მო-ღვაწეც, მთელი არსებით ჩართული სული-ური ძაფების გაბმისა ქართულ და ესპანურ სამყაროებს შორის, რაც უსათუოდ დაგ-ვირგვინდება განთიადის შემონათებით.

ნაკითხულია მოხსენებად 2023 წლის 29 სექტემბერს ლა პალმაში (კანარის კუნძო-ლები) ესპანურ-ამერიკულ ლიტერატუ-რულ ფესტივალზე.

...მეცხვეს თუ არა ქართველებს ნობელის პრემიაზე წარსადგენი მწერალი?..

თან ისეთი, რომლის ნაღვანი, მხატვრული ლიტერატურის მსოფლიო მოყვარულთა და მცნობთ ნამდვილ, დროს დაუმორჩილებელ ლიტერატურულ ღირებულებებს, ხიბლსა და მარადიულობას რომ აზიარებს და პრემია მისთვის იქნება ერთმნიშვნელოვნად დასტური იმისა, დიდ ნობელიანტთა მემკვიდრე რომაა და არა ჯილდო წახალისება-გამორჩეულობა რასის, კანის ფერის, უმცირესობათა სახისა თუ პოლიტიკური შეხედულებების გამო...

დიახ, გვყავს... მიუხედავად იმისა, მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟული პრემია, 31 მილიონიანი (შვედური კრონი) ფონდით რომ დააარსა ალფრედ ნობელმა, ანდერძში კი მოკლედ გამოხატა თავისი ნება, პრემია უნდა მიიწებოდა მათ, რომლებმაც კაცობრიობის სასარგებლოდ უდიდესი წვლილი შეიტანეს მედიცინაში, ფიზიკაში, ქიმიაში, ლიტერატურაში, მშენებლობისათვის ბრძოლაში (1968 წელს დაემატა ეკონომიკა), და მისი გამცემი, შვედეთის ნობელის კომიტეტი, ბოლო წლებში სულ უფრო მეტ კრიტიკას იმსახურებს, რაც მისი რეფორმის აუცილებლობას გულისხმობს, გონიერი ქართველი მღელვარებით ელოდება დღეს, როცა N წლის 10 დეკემბერს, სტოკჰოლმის მერიის შენობაში, შვედეთის მეფისა და სამეფო ოჯახის თანდასწრებით, პრემია და გრავიორი ერიკ ლინდბერგის შექმნილი ოქროს მედალი წარწერით, „გამომგონებლობა ცხოვრებას აქცევს უკეთესად, ხელოვნება — მშვენიერებად“, გადაეცემა ქართველ მწერალს და ეს იქნება 15 საუკუნოვანი ქართული ლიტერატურის მსოფლიო აღიარება. მანამ კი პირუთვნელად, მიუკერძოებლად უნდა გავცეთ პასუხი კითხვას:

გვყავს ნობელის პრემიაზე წარსადგენი მწერალი, რომელიც აკმაყოფილებს ვაჟას „ნიჭიერი მწერლის“ (ესე იგი, მსოფლიო ლიტერატურის საზოგადოება) ყველა პირობას?

დიახ, გვყავს და იგი მაკა ჯოხაძეა, რომლის შემოქმედების დასახასიათებლად ზედგამოჭრილი იქნება ნობელის კომიტეტის მიერ პრემიის პირველი ლაურეატის, ფრანგი პოეტისა და ესეისტის, სიული პრიუდომის, ნაღვანის შეფასება, ხაზგასმა, რისთვისაც დააჯილდოვეს: „...უთვალსა ჩინოვის ლიტერატურული მოღვაწეობისათვის, განსაკუთრებით მაღალი იდეალიზმის, მხატვრული სრულყოფილების, სულიერებისა და ტალანტის არაჩვეულებრივი შერწყმისათვის, რაზეც მისი ნიგნები მეტყველებს.“

მსგავსი მოკლე ტექსტი, რა თქმა უნდა, ვერ დაიტევს მთელ ისტორიას ქვეყნისას, რომლის თავგადასავლის ანარეკლია ის ლიტერატურა, რომელიც ისევე უცნობია მკითხველი მსოფლიოსათვის, როგორც თავად ქვეყანა, რადგან კოლონიიდან ეგრეთ ნოდებული დამოუკიდებელი ქვეყნის სახელით ნეოკოლონიად ქცეულ საქართველოში ფსევდო ღირებულებათა შესაქმნელი „მორალური ტემპერატურა“ (გეორგ ბრანდესი) და ნამდვილს, შემოქმედსაც და მკითხველსაც, მხოლოდ ერთმანეთით უდგათ სული.

გონიერი ქართველის ბედში, როგორც წვეთში ოკეანე, ისე ირეკლება ქვეყნის ბედი და რა გასაკვირია, დემოკრატიისა და თავისუფლების სახელით ერის წინააღმდეგ მიმართული ათასი მზაკვრობის გამოისობით დღევანდელ საქართველოში საზოგადოების არც თუ უმნიშვნელო ნაწილს დამოკიდებულებისათვის „ღვწა“ მიაჩნდეს პროგრესად, ცხოვრების წესსა და ხელოვნებაში სხვათა მიბაძვა, ნამხედური ეპატაჟურობა, ახალ სიტყვად, მსგავსმა ნეოლიბერალურმა განწყობებმა, მსოფლიო იდეოლოგიად რომ აქციეს, სამწუხაროდ, ყველა სფერო მოიცვა და აქედან გამომდინარე, გასაკვირიც არაა, საბაზრო ეკონომიკას მორგებულ, აზროვნების სიღრმეებს მოკლებულ ფსევდო ლიტერატურას თავის თემებზე არ აერჩია ჰუმანიზმი, ზნეობა, მორალი, პატრიოტიზმი (რომელიც ლამის ფაშისიმის სინონიმად იქცევს), რის გამოც, რა თქმა უნდა, ვერ ჩამოყალიბდებოდა ის მკითხველი, რომლისთვისაც კითხვა, „სიამოვნებათა შორის ყველაზე განმაკურნებელი სიამოვნება“ (პაროლდ ბლუმი) და რომელმაც იცის, მხოლოდ დამოუკიდებელი სახელმწიფო და მისი სახელმწიფოებრივად მოაზროვნე მოქალაქეები

დააყენებენ ერს „ერად სხვა ერთა შორის“, რომლის ლიტერატურა აღმოჩენა იქნება მსოფლიო მკითხველისათვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ქართულ ლიტერატურას ჰყავდა და ჰყავს თავისი გრანდები, რომელთა არსებობა და ნაღვანი სულიერი ოაზისი იყო დაპყრობილი ერის გონიერი შვილებისათვის, რომლებსაც სწორედ ნამდვილი ლიტერატურაც უნარჩუნებდა პიროვნულ ღირსებას და დასავლენებლად არ ანებებდა თავის თავში არსებულ ერთიან საქართველოს. იქმნებოდა ლიტერატურული შედეგები, რომლებიც ქვეყნის გარეთ ვერ გაღწევს მიუხედავად, მსოფლიო ლიტერატურის მდინარეებს არ ჩამორჩებოდა.

ლია კუხიანიძე

მოაზროვნე გული

ამიტომაც აღნიშნავდა საუკუნის დასაწყისში, 2000 წელს, დიდი ოთარ ჩხეიძე:

„არა მგონია, კუნძურასა და პავიჩისოდენა მწერლობა რო არ იყოს ჩვენში. ზოგჯერ მივარდება ხელში უახლესი ინგლისურ-ამერიკული რომანები. არც იქ არაფერია ისეთი, ჩვენი მწერლები რო დაფრთხნენ. ორი საუკუნეა, სახელმწიფოებრიობა რო დავკარგეთ. ჩვენ ჩვენი მკითხველიც დავკარგეთ. არ იცით?! ქართველი ელიტარული მკითხველი — რუსი მკითხველია ჯერ კიდევ. ეგ შენი მსოფლიო პოპულარობა არ არსებობს არც შენი სახელმწიფოებრიობის გარეშე, შენი ძლიერი მკითხველის გარეშეც არ არსებობს. სხვა მიზეზებს აღარ ჩამოვთვლი. ყველაფერი მაინც იმისი ბრალია: პროვინცია რომ ვიყავით სამინილი იმპერიისა და დღესაც რომ ვერ ვათავისუფლებულვართ პროვინციალობისაგან. და ყველაზე დიდი პროვინციალი ჩვენი ელიტარული მკითხველია. იმასაც შეგახსენებთ — მე ჩვენს პრესაში ამომიკითხავს: ჩვენს ორ ავტორს ბოლო ნომინაციაშიც მიუღწევია ნობელის კონკურსში. თუ ეს მართალია, ეგრე რატომ შენუხებულხართ?.. იმედი რატომ არ ჩაგვსახებთ?.. იქ მსოფლიო კონკურსისა და ჯერ შედით მსოფლიოში, მერეღა მოითხოვეთ პოპულარობა მსოფლიოში.“

მაკა ჯოხაძე უცლილობად მოიაზრება ზემოაღნიშნულ იმ ლიტერატურულ გრანდებში, რომელთა გამგები და მოყვარული მკითხველი ეგრეთ ნოდებული ელიტარული მკითხველი ვერ იქნებოდა და რომელთათვისაც ყოველთვის ცხადი იყო და არის, თუ ჩვენსაირი ბედისა და მდგომარეობის ქვეყნის შვილი თვალს უსწორებს მსოფლიო ლიტერატურის სიმალეებს და ლიტერატურაში გააზნაურებული მდაბიოს კომპლექსი არ გაჩენია, მეტწილად მათი დამსახურებაცაა.


მაკა ჯოხაძე უძველესი ქართული კლასიკური ლიტერატურიდან მოდის თავისი გამორჩეული სათქმელით, ხმით, სტილით და უცნაურად მეჩვენება, როცა მას ზოგჯერ „გერტრუდა სტაინს, მარგარეტ იურსენარს, ვირჯინია ვულფსა თუ ოსკარ უაილდს, რაფინირებული ხელნერთი ფსიქოლოგიური ნედრობითა და მეტაფორული ბით კი კენძაბურო იეს (ამ უკანასკნელს ფრანგებმა შეადარეს) ადარებენ“, რადგან ლიტერატურულ კოსმოსში გაბნეული მწერალი-პლანეტები თავიანთი მზეების გარშემო ბრუნავენ და მზე-რუსთაველის სისტიმაში მყოფი პლანეტა მაკა ჯოხაძე თავისი სტაბილური ორბიტით მკითხველს არწმუნებს თვითმყოფადობასა და იმის საიმედოობაში, რომ მზე-რუსთაველის გრავიტაციის ძალა განსაზღვრავს მისი სვლის სამართლიან, გადაუხრულ და მარადიულ კანონზომიერებას. ზემოაღნიშნულ დიდ სახელმწიფოებში კი მაკა ჯოხაძეს, როგორც მათ ერთმანეთთან, გამორჩეულობა აკავშირებს და თუ ვინმესთან მაინც აქვს საერთო, ალბათ, ლია სტურუასთან, რადგან ორივე მეტაფორული თქმის დიდოსტატია.

„ნამდვილი მეტაფორა უცხო ფრინველივით იმ ქვეცნობიერიდან მოფრინავს და იბადება, რომლის გაჩენის მიზეზებიც ყოველთვის რეალურ სამყაროში არსებობს, რეალობის განცდით იბადება. სანამ შემოქმედის ცნობიერება, თავდაცვის ინსტინქტით, ამ განცდას ქვეცნობიერში ჩაძირავს, დალექავს, ოკეანის ფსკერზე დაშვებულ მარგალიტით მის ნათებას შეებურავს, გა-

რკვეულმა დრომ უნდა გაიაროს. უფრო ზუსტად, ნაყოფივით უნდა მომწიფდეს და ტკივილებით იმშობიაროს,“ — წერს მაკა ჯოხაძე.

...ნაყოფივით მომწიფდეს და ტკივილებით იმშობიაროსო და ამაზე უკეთ ვერც გამოვხატავთ მთელი მისი მწერლური ცხოვრების ნაყოფივით მომწიფებული, დედის, შემოქმედის, ცნობიერებიდან, გულის, გონებისა და მთელი სხეულიდან ტკივილით დაბადებული მისი ახალი რომანის, „ისკარიოტის ეკლესიის“, მნიშვნელობასა და მშვენიერებას.

ერთ-ერთმა დიდმა ნობელიანტმა, თომას მანამ, თავის საწიგნო სიტყვაში გერმანულ ლიტერატურას „ტანჯვათა შორის



მომხიბვლელობა“ უწოდა, იგივე შეიძლება ითქვას ქართულ ლიტერატურაზე და ამ შემთხვევაში „ისკარიოტის ეკლესია“, რომელიც ფსიქოლოგიური რომანია და ლენინის ცის აზრის, „სულს ფანჯარა არა აქვს“, სანინალმდეგოდ მაკა ჯოხაძე მწერლური დიდოსტატობით გვიღებს თავისი მთავარი ოდიოზური პერსონაჟის, იუდა ისკარიოტელის, სულის სარკმელს და თავზარდამცემი უფსკრულის წყვილადმი გვახედებს.

„ისკარიოტის ეკლესია“ დრამაა, იუდას საქციელის გაგების ცდაა, გამცემის ფსიქოლოგიის განჩხრეკვაა და 1867 წლიდან მოყოლებული, როცა პირველად გამოქვეყნდა ფერდინანდო პეტრუჩელი დელა გატინას „იუდას მემუარები“, დღემდე მრავალი აკადემიური ნაშრომი, მხატვრული ნაწარმოები თუ ფილმი მიქმდნა აღნიშნულ საკითხს. აპოკრიფული ტექსტის არსებობის მიუხედავად, სანდო წყარო — „სახარებაში“ — იუდას მცირე ადგილი აქვს დათმობილი, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია მისი პიროვნებისადმი დიდ ინტერესში, რომელიც საუკუნეებია, არ ცხრება და ქრისტეს მონაფის ქმედების ახსნის ახალ-ახალი ვერსიები, ავტორთა მიერ შემოთავაზებული ინტერპრეტაციები, თავად აღნიშნულ მწერალთა დროისა და ეპოქის ნიშნაც ატარებს.

ამის დასტურია: ლეონიდ ანდრეევის („იუდა ისკარიოტელი“), იური ნაგინის („საყვარელი მონაფე“), ბორხესის („იუდას განცემის სამი ვერსია“) ამოს ოზის „იუდა“ და სხვა. საინტერესოა დახატული იუდას სახე მიხეილ ბულგაკოვის რომანში „ოსტატის და მარგარიტა“, ერიკ-ემანუელ შმიდტის „პილატეს სახარებაში“, ნიკოს კაზაძის „ქრისტეს უკანასკნელ ცდუნებაში“, ერნსტ რენანის „ქრისტეს ცხოვრება და მოღვაწეობაში“, ან ბერნეს „პილატე პონტოელის მემუარებში“, ჯიბრან ხალილ ჯიბრანის „იესო ძე კაცისაში“, ენტონი ბურჯესის რომანში „ადამიანი ნაზარეთიდან“, ნორმან მეილერის „ძე ნათისას სახარებაში“, ჟოზე სარამაგოს „იესოს სახარებაში“, ფრანსუა მორიაკის „იესოს ცხოვრებაში“ და სხვა არსებულ, მაგრამ ჩემ მიერ ხელმეორედ მომლობის გამო ჯერჯერობით ვერ წაკითხულ სხვა ნაწარმოებებში...

ტრადიციულად იუდას სახის წარმოჩენის ორი ვარიანტი არსებობს. იუდა-პატრიოტი, რევოლუციონერი, რომლისთვისაც იესო რომაელი დამპყრობლებისაგან ქვეყნის გათავისუფლების საშუალებაა, ფი-

ქრობს, მისი გაცემით ხალხს ააბუნტებს და მიზანს მიადნებს, თუმცა მოძღვრის სიკვდილი არც უფიქრია, მაგრამ, როცა მისი მიზანი არ ხორციელდება, სინანულისგან თავს იკლავს, და მეორე — იუდა, ღმერთის ჩანაფიქრის, დიდი მისიის მონაწილე, რომლის გარეშეც არ იქნებოდა ჯვარცმული ქრისტე...

მე-20 საუკუნის ბოლოს, იმის შემდეგ, რაც აღმოჩენილი იქნა პაპირუსზე კოპტურ ენაზე შესრულებული ძველი ხელნაწერი, ეგრეთ ნოდებული სახარება იუდასი, რომელმაც ააღელვა მკვლევართა გონება და ბევრი დააბნია იმით, რომ ნაწილმა ის სიყალბედ მიიჩნია, ნაწილმა — ეკლესიის მიერ მორწმუნეთათვის დამალულ ჭეშმარიტებად, 2006 წელს გამოქვეყნდა ფრანგი ჟურნალისტის, ეტიენ კასეს, თუ როგორც ვარაუდობენ, ამ ფსევდონიმით წარმოდგენილი ჯგუფის, ეგრეთ ნოდებული „იუდას სახარებაში“, „კანონიკური სახარების შეგნებულად დამახინჯებული მეორეული ტექსტი“, როგორც მას უწოდებენ, რომელშიც გამცემი გამოყვანილია მოძღვრის საუკეთესო მონაფე, ღმერთის გაცემის საიდუმლოს განმარტოვებლად. „იუდას სახარებაში“ „ნარმატებულად“ გააგრძელა იუდას ახლებურად წარმოჩენა დელა გატინადან დაწყებული ენდრიუ ვებერის როკოპერა „იესო ქრისტე სუპერვარსკლავის“ ჩათვლით, რომელიც მთავარი პერსონაჟი იუდაა და მიუხედავად იმისა, მხატვრულ თუ მუსიკალურ ნაწარმოებს კანონიკური ტექსტის დაღვივება ვერ იქნება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იუდას გაიდელეობამ უკვე სტერეოტიპის სახე მიიღო და ავტორთა მსგავსი ინტერპრეტაციები ღმერთს დაშორებული, იფქლისაგან ღვარძლის ვერ გამარჩევი თანამედროვე ადამიანის დრამას უფრო გვაჩვენებს, აზროვნების პროგრესად რომ მიიჩნევს, იუდას რეაბილიტაციითა და მოციქულთა საქმეების თავიდან გააზრებით, ცნობიერების ტრადიციული არტყაქტებიდან გათავისუფლებას.


ყოველივე ზემოაღნიშნულის ფონზე უნდა განვიხილოთ მაკა ჯოხაძის „ისკარიოტის ეკლესია“ და თავიდანვე აღვნიშნოთ განსაკუთრებული სირთულე მწერლის არჩევანისა, მით უფრო მანამ, როცა ასე ფეხმოკიდებული და პოპულარულია ტენდენცია იუდას „გაკეთილშობილებისა“, გმირისა, როგორც ქრისტეს მონაფეაგან ყველაზე მოაზროვნისა და მოძღვრისათვის ნებით შეწირულისა.

მაკა ჯოხაძისათვის ვერ იქნებოდა საინტერესო სახე კიდევ ერთი გათანამედროვეებული იუდასი, მით უფრო, დღეს, როცა საზოგადოების დემუნიზაციის ლამის დემონიზაციამ გადაიზარდა. მისთვის წყარო იუდას პიროვნების ნამდვილობისა ქრისტეს მოციქული იოანეა.

ბეთანიამი, ლაზარეს სახლში, მონაფეებთან ერთად სტუმრად მისულ იესოს მარამა ძვირფასი ნელსაცხებელი სცხო, იუდა „შემფოთდა“, რა საჭირო იყო ამის გაკეთება, არ სჯობდა, ეს ნელსაცხებელი სამას დრაჰკანად გაგვეყიდა და გლახაკები განგვეკითხათ? „ხოლო ესე თქუა, არა თუ გლახაკთაი რაიმე ზრუნვაი ედვა გულსა მისსა, არამედ რამეთუ მპარავი იყო და გუადრუცი იგი მას აქუნდა და შთასადებელი იგი მას ჰკიდებენ“ (იოანე 12:6).

მაკა ჯოხაძემ თავის არაჩვეულებრივ მოთხრობაში „იუდასის ქალი“, ისე დაუვინყრად და მხატვრულ-რეალისტურად წარმოგვიდგინა იესოს სახე, დარწმუნებულ ვარ, თუ „ძე კაცისას“ გაიხდიდა რომანის მთავარი პერსონაჟად (თუმცა არის კიდევ მთავარი), ეს იქნებოდა ახალი სიტყვა, ქრისტეს სხვა რაკურსით ხედვის წარმოდგენა არა მხოლოდ ქართულ, არამედ, ზოგადად ლიტერატურაში, მით უფრო, მისი დონის მწერალს მშვენივრად მოეხსენება „...გმირი უფრო მომხიბლავია, რაღა თქმა უნდა, ლიტერატურული გმირი, ძღვევამოსილი, გამარჯვებული, ან თუნდაც რო ტრაგიკული ბედი რო ეწიოს, მომხიბლავია უზადობითა თავისითა, კეთილშობილეთა თქმა უნდა, ოღონდ ეს მხოლოდ ერთი სტილია, სტილი იგი ამაღლებული, ამაღლებული რო უნდა გამოჰხატოს, სანიშნურო უნდა გამოჰხატოს, როგორც რო უნდა იესოს ადამიანი, ეს რო გამოჰხატოს — როგორც რო უნდა იყოს!..





ლია კუხიანიძე

მოაზროვნე გული

დასასრული

მაგრამ არსებობს სხვაგვარი სტილიცა ლიტერატურაში, მხატვრულ ლიტერატურაში, რაღაც თქმა უნდა, — რო უნდა გამო-
 ჰხატოს, როგორც რო არ უნდა იყოს ადა-
 მიანი, როგორც რო არ უნდა იყოს... ვის
 არ უნდა მიჰბადო, უძველესია ესეცა, ანუ
 რო უნდა შეგძრას ხელოვნებამა, ესაა უძვე-
 ლესი და მარადიული, სხვანაირად რო არც
 იქნება, რახან რო ესაა საფუძველი სული-
 ერი განმანდისა და ამაღლებისა... განდი-
 დებული მომხიბლავია, დაკინებული არაა
 მომხიბლავი, გონჯია, შემზარავია, შემძ-
 რუნებელია, ის არაა რო აღგამაღლებს
 უეცრად, რო აღგიტაცებს უეცრად, აქ
 კათარზისი უფრო რთულია, შეიძლება რო
 გამთანგველია, რასაც რო ადვილად არ
 მონებებს ადამიანი...“ (ოთარ ჩხეიძე).

...და, განა შეიძლება იმაზე უფრო რთუ-
 ლი და პასუხისმგებლობით სავსე იყოს მი-
 ზანი მწერლისა, რომელმაც გამცემის, მო-
 ლალატის, სულმდაბლის სახე გვიჩვენოს
 ისე და „იმის“ ფონზე, ვისაც ვერ ვხედავთ,
 ვინც ყველაგანაა და იმდენი ფიქრი შემოგვა-
 სიოს, საკუთარ თავში ისე ჩავვარდავოს,
 სხვის თვალში ბენვის შემამჩნევლებს, ჩვე-
 ნი თვალების დირეც დაგვანახოს...

„ისკარიოტის ეკლესიის“ იუდა დაბადე-
 ბამდეა განწირული, დედამისს, მშვენიერ
 აბიგაილს, სიკვდილი ურჩევნია მის დაბა-
 დებას, რადგან წინასწარ გრძნობს, რაღაც
 საშინელს, ამიტომაც „საკუთარ მუცელს
 უფსკრულივით ჩასცქეროდა, ასე ამაზრ-
 ზენად რომ დაელო ხახა“ და მალე უნდა
 ეშვა ის, ვინც საკუთარ დაბადებას დაწყე-
 ლიდა და ვისი სახელიც კაცობრიობის
 ქრისტიანი ნაწილისთვის გამცემის, მოლ-
 ალატის მარადიულ სინონიმად იქცეოდა.

მწერალი თავიდანვე გვაგდებს დიდ სა-
 ფიქრალში. რატომ დაუშვა ღმერთმა, ორ,
 სიყვარულითა და სიკეთით სავსე ადამიანს
 ურჩხული ეშვა და წუთისოფელშივე გაეე-
 ლო ჯოჯოხეთის ყველა წრე. თუ „მისი“
 ნების გარეშე ტყეში ფოთოლი არ დავარ-
 დება და თმიდან — ერთი ღერი, რა ჭეშმე-
 რიტების შესაცნობად უნდა გაუბედურე-
 ბულიყო ამდენი ადამიანი და ვინა ვართ
 ჩვენ, წინაპართა გენების, ღმერთის მიერ
 ბოძებული ჩვენი ბუნებისა და გარემოს შე-
 დეგი, თუ წინასწარ დაწერილი ბედისწერ-
 ის ტყვეები...

რომანის პირველივე ფურცლებიდან
 შევყავართ მწერალს ბიბლიურ სამყარო-
 ში, რომელშიც ისეა წარმოდგენილი ადამი-
 ანები, ბუნების სურათები, შუქ-ჩრდილები
 ამომავალი თუ ჩამავალი მზისა, „რიურა-
 ჟის ნისლი გახვეული კვიპაროსები“, „გზა-
 ზე მიმავალი ჩარდახიანი ურემი, ისე რომ
 მიცურავს თაკარა სიცხის ოქროსფერ ლი-

ვლივში, როგორც აფრებდაბერილი ხომ-
 აღდი მზით აბრწყვილებულ ზღვის ტალ-
 ლებში“, „ჰორიზონტივით განოლილ სანა-
 პიროზე მდორედ, ზანტად მიმავალი აქლე-
 მთა თაფლისფერი ქარავენები“, იერუსალი-
 მისა და კაპერნაუმის ცხოვრება, „ხმაური-
 ანი, ჩანჩქერივით რომ ჩქეფდა და გადმოჩ-
 ქეფდა, სიცოცხლის შეფეხს აქეთ-იქით
 უხვად ისროდა“, რომელთა ქუჩები სავსე
 იყო „იუდეველებით, გალიეველებით,
 მნიგობრებითა და ფარისევლებით, ნასნა-
 ვლი ბერძენებითა და ამაყი რომაელებით“,
 მაშინვე იგრძნობ თავს ამ გარემოს ნაწილ-
 ად და ისე გაიჟინებები ისტორიის სურ-
 ნელითა და პერსონაჟებთან ცოცხალი კა-
 ვშირით, აღარ გაგიკვირდება, თუ რომან-
 ის დასრულების შემდეგ, უბრალოდ, ჩვეუ-
 ლებრივი, „ცისკენ თავალერული მამლის
 სასონარკვეთილი ყვილი“ ისე გესმის,
 „თითქოს ყელში ჩაჭყდილი (ჩაყინული) იმ
 ოცდაათი ვერცხლის ამოყრას ცდილობს“
 (მაკა ჯოხაძე „ჩაძირული დღესასწაული“).

„ისკარიოტის ეკლესიის“ იუდა, როგო-
 რც აღვნიშნე, დაბადებამდე დაღდასმუ-
 ლი და მკითხველს ბევრი ფიქრი და განს-
 ჯა მოუწევს, გაიგოს, რამ აქცია, რამ შეამ-
 ზადა იუდა იუდად, იმან, რომ ბავშვობი-
 დანვე მოიშორეს, გასწირეს, თუ ხასიათმა,
 როცა მშვილტვლების (სინამდვილეში კი
 ნამდვილი მშობლების, ბედმა თუ ღმერთ-
 მა მათ მიერ პატარა მოსესავით ტბას მინ-
 დობილი, ისე უკან რომ დაუბრუნა ამის
 ვერ გამგებთ) სიყვარულის ვერ შემგრძნო-
 ბმა, ეგოისტმა, ხარბმა მესაკუთრემ, კენო-
 ბა არჩია საყვარელ შვილად, უფროს ძმად
 დარჩენას და ჩვენ თვალწინ იხატება სახე
 კეთილშობილი უმცროსი ძმის, ანანიას,
 მოძულე ცივისსხლიანი მკვლელისა, რომე-
 ლიც ანანიასი მხოლოდ ქონების მოცილეს
 ხედავდა. ამიტომაც შეიძულა დაბადები-
 სთანვე პატარა ძმა. „იტანჯებოდა, შფო-
 თავდა, წრიალებდა შური და დაეკოლი ბი-
 ჭის სული... არა და არ მოდიოდა მშვიდი
 ძილი... შეციებული და აკანკალებული ისე
 დგებოდა, ისევე ტოვებდა ჩამთბარ ლოგ-
 ინს. ფეხშიშველა ისევე უახლოვდებოდა ან-
 ანიას აკვანს და დიდხანს, დიდხანს იდგა
 მის წინაშე მონუსხული.“

ძლივს ერეოდა იუდა ძმის გაქრობის
 სურვილს, საათობით იდგა მის სანოლთან,
 მხოლოდ ერთი რამ აშინებდა და აფრთხ-
 ილდა მის უკვე სიბნელით მოცულ სულს,
 მთავრეს ერიდებოდა, იცოდა, „მთვარე ზე-
 ცის მსტოვარი იყო“... მინის არა, ცის ეშ-
 ინოდა პატარა იუდას... განსაკუთრებით
 ჭეჭა-ქუხილის დროს...

„ნამიერად გადახსნილ ცაში, გარდა
 ცეცხლოვანი სილურჯისა, ვერაფრის დან-
 ახვას ვერ ასწრებდა. არადა, იქ, სიღრმეში
 ვილაც ეგულდებოდა. ეჩვენებოდა, რომ იმ

ვილაცის გრგვინვა და მრისხანება აშკარ-
 ად მისკენ იყო მომართული.“

...იმ „ვილაცის“ გრგვინვისა და მრისხა-
 ნებისგან მოგვიღო შიშს, მართლაც შეეძ-
 ლო, სინდისი გაეღვიძებინა მასში, მაგრამ
 ამაოდ, რაც არ ჰქონდა და რასაც არ ეძი-
 ნა, რა გააღვიძებდა.

ადამიანის ფსიქოლოგიის დიდი ცოდ-
 ნით გვიხატავს მწერალი უფროსი და უმ-
 ცროსი ძმის ურთიერთობას, ძნელია იმის
 ყურება, თუ როგორ ცდილობს უფროსი
 ძმა უმცროსში საკუთარი ძალის, რწმენის
 ჩაკვლას, აბუჩად აგდების, გატეხისა და
 დამცირების ფასად. თუ როგორ არ შეუძ-
 ლია უფროსი ძმისადმი ანანიას სიყვა-
 რულს, შემუსროს იუდას სულის ბოროტე-
 ბის ბჭენი. ანანიას შინაგანი სინათლის სა-
 პირისპიროდ უფრო და უფრო მძლავრობს
 იუდაში სიბნელი და როცა უმცროსი ძმა
 საბოლოოდ ფაქტის წინაშე დადგა, თვა-
 ლი აეხილა და მისთვის ცხადი გახდა, ვინ
 და რა იმალებოდა იუდას უმანკო ღიმილის
 მიღმა, აჯანყდა გამმაგებული და ამ მოუ-
 ლოდნელი ჯანყით დამფრთხალმა და შე-
 შინებულმა, იმის მიმხედრმა იუდამ, „ამ-
 იერიდან აღარ არსებობდა მისი მოყვარუ-
 ლი და მისი აღფრთოვანებული მორჩილი
 ძმა, ბიჭი ეს წუთია გათავისუფლდა მონო-
 ბისგან“, ქვა აიღო და უნებლიედ წაქცეულ
 ძმას „მთელი ძალ-ღონით პირდაპირ საფე-
 თქელში დასცხო...“

სულისშემძვრელად გვიჩვენა კი არა,
 ყველა უფრედით გვაგრძნობინა მწერალ-
 მა შვილებდაკარგული დედ-მამის ზაფრა,
 იმდენად სულისშემძვრელად, რომ მათსავ-
 ით უბედური გაგვხადა, თავზე ზეცა ჩამოქ-
 ცეულნი და ფეხებიდან ნიადგა გამოც-
 ლილნი...

და, იწყება საშინელი დანაშაულის შემდ-
 ეგ არ მონანიე, არ დამწუხრებული იუდას
 ხეტილი უბადრუკი თავის (და, რა თქმა
 უნდა, არა, სულის) გადასარჩენად: „მით
 უფრო დამნაშავედ თავს არ თვლიდა, ჯერ
 ახალგაზრდა იყო, არ იცოდა, რომ ვერან-
 აირი ცეცხლი ხსოვნის ხეივანს ბოლომდე
 ვერ გასწვდებდა. ყოველ შემთხვევაში, თვით
 დანაცრული, ფერფლადქცეული მოგონე-
 ბაც კი სადღაც სიღრმეში, გულისგულში
 ხსოვნის ნაპერწკალს ინახავს.“

ეს ჯერ არ იცის... იცის, „აღარც მეტოქე
 ჰყავდა და აღარც მამისეული ქონების მე-
 ნილე, მაგრამ თავდაც ხომ დაეკარგა ყვე-
 ლაფერი“... ადამიანისთვის რაც მთავარ-
 ია, ხსოვნა, მოგონებები, არაფერი წამოუ-
 ლია მის გულსა და გონებას, არც სჭირდე-
 ბა, სამაგიეროდ ის ახსოვს, „როველის (მა-
 მამისის — ლ.კ.) შუათითზე წამოცმულ აქ-
 ატისთვლიან ვერცხლის მხსილე ბეჭედს
 რომ ვეღარ შევარდებდა ხარბი წადილით
 თვალს, ვერც აბიგაილის (დედამისის —
 ლ.კ.) სამაჯურების მათრობელა წკარუნი
 დაახვევდა თავბრუს, ვერც მეორე სართუ-
 ლის განაპირა ოთახში შეიპარებოდა გუ-
 ლის ფანცქალით, სკივრის სამალავში რო-
 ველის მიერ ჩაყრილი მონეტებისათვის
 რომ ამოველიო პეშვი, ვერცხლის მდინარ-
 ის ბრწყვილა ჩხარუნით მზერა და სმენა
 რომ დაეცხო... მერე კი კიბის ყოველი სა-
 ფეხური ამაყად ჩამოველო დაიმედებულს
 — სულ მალე მთელს იუდაში ყველაზე
 მდიდარი მემკვიდრე გავხდებოდა.“

ძმის მეკვლემა განახლების იმედით
 დატოვა მშობლიური ქალაქი, გაიპარა და
 იგივე, მაგრამ სახელმწიფო (მისგან
 გამეტებული უმცროსი ძმის, ანანიას, სახ-
 ელით), თეთრი კბილითა და შავი გულით
 შეუდგა „ახალ“ ცხოვრებას... რომელშიც
 ვერაგობებითა და მზაკვრობებით უნდა
 „გაემდიდებინა“ თავისი უბადრუკი ყოფა.
 თავის შემფარებელი კაცისთვის, მამასავ-
 ით რომ მიიღო იგი, უნდა ემუხთლა, მის-
 თვის რძალი გაეხატებინა, ერთადერთი შვი-
 ლი მოეკლა და „ყმულით ეტირებინა“.

თავად კი, უკვე ჩვეულებად ექცია, სა-
 დაც ყველაფერს წარწყმედდა და ნაბილ-
 ნავდა, იქიდან აბარგებულიყო, გაპარუ-
 ლიყო ახალ სიავეთა საქმელად, რომელ-
 თა აღსრულება მისი გონებისა და გარეგ-
 ნობის მქონეს, უფრო გაუადვილდებოდა.
 აკი, იერუსალიმში მიმავალ, გზად ჩაძინებ-
 ულ და გამვიდვისგან გაღვიძებულ, ში-
 შისგან ვეხზე წამოჭრილ „ბრეგ აგე-
 ბულების ჭაბუკს იმდენად ბავშვური იერი
 ჰქონდა (გამღვიძებელ — ლ.კ.), კაცს მშვი-
 დობიანად გაეცინა“ და პური და ყურძენ-
 იც უძღვნა მოშვივებულსა და არაფრის
 მქონეს (კეთილის მქმნელისთვის, რა თქმა
 უნდა, მაღლობა არ გადაუხდია...).

ახლა იერუსალიმში აპირებს იუდა ყვე-
 ლაფრის თავიდან დაწყებას და საამისოდ
 ცდილობს წარსულისგან გათავისუფლდ-
 ეს, რადგან ხედება, „მხოლოდ უწარსულო
 ანმყოფა მსუბუქი და სახატრელი“.

იუდას შიში იერუსალიმის გამოგნებე-
 ლმა სიმდიდრემ გადაფარა. წმინდათან-
 მინდა ტაძარში მისული ისე აღაფრთოვანა
 კარის სამშენისმა ოქროს ყურძნის მტევა-
 ნმა, ცდუნებას ვერ გაუძლო, „ძვირფას მა-
 რცვლებს სათითაოდ სინჯავდა, ეფერებო-
 და. ისეთ სიახლოვესა და სურვილს გრძნო-
 ბდა მტევისადმი, რომ შესძლებოდა, ამ
 ბაჯალლო სიმდიდრეს სიამოვნებით აავლ-
 ეჯდა საკურთხევის კარს და უბეში გად-
 ამაღავდა.“

...ერთიც, ფრინველთა სიმსუბუქე აღი-
 ზიანებდა იუდას ბავშვობიდანვე, შურდუ-
 ლით დაუნდობლად ხოცავდა ფრინველ-
 ებს და როცა „იერუსალიმის ტაძარში ბაბი-
 ლონურ ფარდაზე მიხატული დიდფრთი-
 ანი არსებები აღმოაჩინა, ისე დაიბნა, კრე-
 ტსაბმელს ხელი გამეტებით აუქნია, მო-
 ეჩვენა, რომ ცისფერ აბრეშუმზე მერხუე-
 ლი ქერები იმდენი ფრთების ლივლივით გუმ-
 ბათისაკენ ასრიალდნენ. ჟრჟოლივით დაეკ-
 ლილმა იუდამ სასწრაფოდ დატოვა ტაძა-
 რი.“

...და იწყება იუდას აღმასვლა იერუსა-
 ლიმში, იხვენება მისი მზაკვრობანი, ადამი-
 ანებით მანიპულირება, „სინანულამდე
 ჯერ შორია, ჯერ ბევრი უნდა მონუსხოს,
 გაანბილოს, ბევრს დაახვიოს თავბრუ, ბევ-
 რის ბედი უღობვლად შევადლოს სასწრაფო
 და მათი დამარცხება იზეიმოს“ და გროვ-
 დება „გამოცდილება“ და ქონება, მიინევს
 ცოდვამარავლებული სოციალურ კიბზე
 მალა და მალა.

მის ცხოვრებაში უჩვეულო ქალი, დინა,
 გამოჩნდება, იუდას ხიზლით მასზე ფარუ-
 ლად შეყვარებული, დინა „რომლის კამკა-
 მა ბუნებაც ვერ იქნა და ვერ აამღვრია სა-
 სახლის ცხოვრებამ, ვერ მიიმსგავსა, ვერ
 გატეხა, ისეთივე ურჩი, კეთილი და სამარ-
 თლიანი დარჩა, როგორც პირველად გა-
 მოცხადდა ჰეროდიადეს სამფლობელო-
 ში“, მაგრამ არც მასთან შეხვედრად იუდა-
 სთვის არაფერი, დინა მისთვის მხოლოდ
 ჰეროდეს სასახლეში მოხვედრის საშუალე-
 ბაა და არა ღმერთის მიერ მისი სულის გა-
 დასარჩენად გამოგზავნილი სინათლის
 სხივი.

უგანგებოდ არაფერი ხდება და სასახ-
 ლის კარზე დანინარებული და გალაღე-
 ბულ-გათავხედებული ძმის მკვლელის ცხ-
 ვრებაში თამაშდება ძველი ბერძნული
 დრამის, „ოიდიპოს მეფის“, სიუჟეტი (რო-
 მელიც წმინდა იერონიმეს გადმოცემით
 არსებობს და მწერალს არ გამოუგონია),
 რომელსაც მოჰყვება იუდას მიერ ჩადენი-
 ლი კიდევ ერთი მკვლელობა.

მორჩა, თითქოს, აღარ რჩება ადამიანის
 ცოდვათაგან არც ერთი, იუდას შავნელ
 სულს მაგნიტივით რომ არ მიეზიდა და,
 როგორც მერჯული ენა იტყვის, „ვამინ-
 ერს“, ანუ არის რაღაცები, რომელზეც ან
 დუმილი უნდა არჩიო, ან მოკლედ, მინიშ-
 ნებებით გაიარო, იმდენად შემადრწუნებე-
 ლია, ან ისე მალაღმსაბურვლად თქვა, ენ-
 ით გამოუთქმელი დანაშაულის ჩადენის
 შემდეგ აღრულმა ფიქრმა და გრძნობამ
 ადამიანი კათარსისამდე მიიყვანა და მა-
 კა ჯოხაძემ, თავისი სიმდიდრისა და ძალა-
 უფლების წყურვილით შეპყრობილი გმირ-
 ისაგან განსხვავებით, მკითხველისათვის
 ეს შეძლო.

...არადა, მოსახდენი მოხდა, წარმოუდ-
 გენელია, ამაზე უარესის მოხდენა. ცოდვა-
 ში ჩაძირული იუდა, თუ ოდნავ მაინც შერ-
 ჩენია რაღაც ადამიანური, წესით, საკუთა-
 რი სულის სიბნელისგან უნდა შეძრწუნდეს
 და დაფიქრდეს. ესე იგი, ახლა ჯერი იუდა-
 ზეა, რამდენად აიღებს იმაზე პასუხისმგე-
 ბლობას, რაც ბედმა თუ ღმერთმა არგუნა.

„თავზარდაცემულმა იუდამ აღმოაჩი-
 ნა, რომ ამიერიდან იგი არა მხოლოდ ძმის,
 არამედ ერთდროულად მამის მკვლეელი და
 დედასთან სისხლალრეული ურჩხული იყო.
 საკუთარი არარაობა სრული სისასვით გა-
 ნიცადა. გაოგნებული თვალს ადევნებდა
 მოკუნტული, ოთხხა მოკეცილი მისი სხე-
 ული ფიზიკურად როგორ პატარავდებო-
 და. ჩანასახის ფორმაში მყოფმა პირველად
 გაცნობიერა, რომ სიცოცხლე აღარ შეე-
 ძლო, მაგრამ უნდოდა გულს ეთანადრებო-
 და, რცხვენოდა ამის აღიარება. სურვილის
 მარწუხებში მოქცეული გადარჩენის ინს-
 ტინქტს ვერაფერს უხერხებდა. სასონა-

რკვეთილი და ანრიკლებული სიკვდილზე უარს ამბობდა. დარბეული, გაპარტახებული ისევ სიცოცხლეს ეპოტინებოდა.

სად გაემხილა, როგორ ეთქვა, ვინ დაეზაფრა საზარელი საიდუმლოთი, რომელსაც ველარ იტევდა, ცეცხლივით მოსდებოდა სახეზე, გულ-მუცელზე, მთელს სხეულზე წვადა, შანთავდა, ასახიჩრებდა და... მაინც ყრუდ ფეთქავდა მომავლის უბადრუკი იმედი, რომ სადღაც უცილობლად განოლილიყო გამოსავლის გზა, რთული და ეკლიანი იქნებოდა ეს გზა.

...და, მაშინ, როცა თითქმის ნაკითხულია რომანის ნახევარზე მეტი, ცოდვილი იუდას საოცრად გადმოცემული ტანჯვის შემდეგ, მისი გამოუვალი მდგომარეობის შემდეგ, გამოსავლის გზაზე ფიქრისას, თითქოს უეცრად, იმდენად მოულოდნელი ბუნებრივობით შემოდის „ის“, რომელიც ღვთიური სიმშვიდითა და სიმტკიცით იტყვის: „მე ვარ გზა და მე ვარ ჭეშმარიტება და ცხოვრება; არავინ მოვიდეს მამისა, გარნა ჩემ მიერ“ (იოანე 14:6). აღტაცებული შვებით ამოისუნთქავ.

...მოულოდნელი ბუნებრივობით შემოდის-მეთქი, და, შემოდის მამინ და ისე, როგორც უმარტოესი ადამიანის ცხოვრებაში, თავს დამტყდარი უბედურების შემდეგ, შინაგანი, მანამ დაბრმავებული თვალის ახელის შემდეგ. სასონარკვეთილ იუდაშიც ხომ „ყრუდ ფეთქავდა მომავლის უბადრუკი იმედი, რომ სადღაც უცილობლად განოლილიყო გამოსავლის გზა... ვინ იცის, რამდენი ადამიანი ადგამს გზას, რამდენს სწყუროდა, ეოცნებებოდა თავისუფლება, მაგრამ ვერ ახერხებდნენ, საკუთარი ცოდვების მძევლებად რჩებოდნენ. გონებადბინდულები, ხელფეშქვრულები ვერაფერს უხერხებდნენ რჯულზე უმტკიცეს ჩვეულებებს, თითქოს წყალს ნაყავდნენ, მასთან ბრძოლას გამუდმებით აგებდნენ.

არადა, მოლოდინით დამუხტულ ეთერში, კარგა ხანია, ირხეოდა ნანინასწარმეტყველები ხსნის ხმები და ნიშნები. მთავარია, ყური მიგვეგდო, არ გამოგპაროდა, როდის, რა გზით, რომელი მხრიდან მოიწვედა საიდუმლო, რომლისაც არა მხოლოდ მომლოდინე, რწმენის სურვილით გულანთებულ ადამიანებს, არამედ ხშირად იტყენულ გონებასაც სჯეროდა, რომ მოჯადოებული აქამდე გულის კარს ვერ უხსნიდა საიდუმლოს. ამიტომაც მიერეკებოდნენ, მალავდნენ, მარხავდნენ ხსოვნის ხეობებში მიუღებელი ჭეშმარიტების ნაპერკვლებს. გულებს იცივებდნენ, თავზე ნაცარს იყრიდნენ, ქვევით ქოლავდნენ და მიმტევებლური ღიმილით ივიწყებდნენ ნინაპართა გადმოცემას, ბავშვურად გულუბრყვილო სევდიან ღამეებს.

ჭეშმარიტება კი ჯიუტად მოდიოდა თავისი გზით, წინ მიიწვედა, ღორღინი ფერდობებიდან ბამბუკის ქალებში ღამენათევი, ჭრულ ბაზრებში მოხეტიალე, ჩირაღდანივით გადადიოდა ქალაქიდან — ქალაქში, დაბიდან — დაბაში, სოფლიდან — სოფელში, დახლიდან — დახლზე, ფარდაგიდან — ფარდაგზე, სასწორიდან — სასწორზე...

მისურებში, ქოხმახებში, ღია ცის ქვეშ, რიყის ქვევით შემორაგული უზარმაზარი ხეების ძირში (სახლის მაგივრობას რომ სწევდნენ) ეძებდა, პოულობდა, აუნწონავ გულებს, სხივჩაუმქრალ თვალებს, ფიზიკური ტკივილებითა და ცხოვრებისეული შეჭირვებებით განაწამებ, სიღარიბით გათანგულ ადამიანებს.

...ჯერ კი, ზემოდან დაჰყურებს ოთხად მოკეცილი, დაპატარავებული, ჩანასახის ფორმაში მყოფ „მის ვერ მცნობ იმედგადაწურულ იუდას „მისი“ ყოვლისდამნახავი თვალი და ელოდება, იშვება თუ არა მისგან, ძველი იუდასაგან, ახალი იუდა, რადგან უამისოდ, ვერც ძველი ტიკი აივსება ახალი ღვინით და ვერც ძველი სამოსი დაიჭერს ახალ საკერებელს.

დინამ არაფერი იცის იუდას ცოდვაზე, მაგრამ სიყვარულით დაბრმავებული (სიყვარულით, რომლის შესახებ არავინ, თავად იუდამაც კი არ იცის — ლ.კ.), გრძობს მის შინაგან მდგომარეობას და ისეთ სიტყვებს ეუბნება მას, „უდაბნოს ხვატით გათანგულ მგზავრს წყალივით რომ მოათქმევინებდა სულს. კაპერნაუმი გიშველის, ნადი კაპერნაუმი...“

და, იუდაც მიდის ქალაქში, რომელსაც მონანულთა სოფელს ეძახდნენ, თუმცა მისი მცხოვრებნი და მისკენ დაძრულნი მხოლოდ გამდიდრებაზე, სმა-ჭამისა და

დროსტარებაზე ფიქრობდნენ. სწორედ აქ უნდა შეხვედროდა იგი მას, „ვინც თავს ძეკაცისად მოიხსენიებდა და ხალხს სინანულისაკენ მოუწოდებდა.“

ათას ჭორსა და მართალს ისმენს კაპერნაუმი იუდა ქრისტეზე, უჩვეულო რიდი აქვს ამდენი ხალხის მომწუსხველი და სასწაულების მომხდენი იესოსი, „დაეძებდა მიმტევებლის ნაკვალევს“, მაგრამ ჩვეული ხერხით ჯერ შორიდან უნდა დაჰკვირვებოდა, შეესწავლა, თითქოს სარფიანი საქმის დაწყებას აპირებდა, ამიტომაც არ შეუცბუნებია მისი მდგომარეობის პატრონი მადლიერი რომაელი ასისტანტის სიტყვები: „...ჩვენს გულში დაუნჯებულ ფიქრებსაც ისე უბრალოდ კითხულობს, როგორც ჩვენ ვიხედებით ტბაში და მის ზედაპირზე არეკლილ ჩვენსავე სახეს ჩაეჩერებოვართ.“

არაჩვეულებრივად წარმოგვიდგენს მწერალი იუდას ქრისტესთან პირველი შეხვედრას, მაშინ, მღვდელმთავრებსა და სადუკეველებს ზღვის ნაპირზე მყოფ იესოსთან ცოდვილი ქალი რომ მიჰყავთ, მისი ბედის გადასაწყვეტად და მათი გათვლით, იესოს დასალუპად. ცხვარივით მირეკილ ხალხში იუდაცაა, „ოლონდ არც დამფრთხალი და არც თვინიერი: ბრბოს უფრო ცნობისმოყვარეობით აჰყოლოდა, როგორც იქნა, დაინახავდა საკვირველმოქმედს, თან სეირის ყურებას სწყუროდა იმ წუთებში.“

იესო კი, „რომელიც უძველესი, არქაული ცხოველივით ყალბზე შემართული მთელი ეს უზარმაზარი მასა მძიმე ქმნით რომ უახლოვდებოდა... ნელს აღმართულ ჯვარს ჰგავდა, ხელეგაშლილი მოულოდნელად რომ შემოტრიალდა მათკენ. ზოგიერთს ისეთი განცდა დაეუფლა, თითქოს განურჩევლად, ყველას ერთად იესო გულში ჩაკვდა უპირებდა.“

რა დიდებული სურათია და რა ბედნიერი არიან ბრბოში მდგარი ის „ზოგიერთნი“, რომლებმაც იესო ზემოაღნიშნულად აღიქვეს. იუდას კი, პრაგმატულ და ცბიერ იუდას, ყველასა და ყველაფერს მხოლოდ სარგებლიანობით რომ აფასებდა, სად შეუძლია, ძეკაცისა ჯვარს მიამსგავსოს და მისი გაშლილი მკვლავები, საიმედო ნავსაყუდლად მიიჩნიოს, რომელში მოქცეულიც სინანულის ცრემლით დაიტვირთდა საკუთარ, ცოდვილ თავს, თუმცა, მიტევებული ქალის შემურდა, იესოს ჭკუით მოიხიბლა, ასე რომ გააცურა (იუდას სხვანაირი ახსნა არ შეუძლია) სასულიერო და საერო პირები.

...„ხალხი მღვრიე, გაურკვეველი განცდით ბრუნდებოდა კაპერნაუმი“, იუდა ფხვს ითრევედა, „იესომ (რა თქმა უნდა), შეამჩნია ბრბოს გვარიანად ჩამორჩენილი იუდა, მაგრამ მისკენ არც გაუხედავს“, იუდა კი გაიგონა იესოს ქალისადმი ხმადაბლად, დაყვავებით ნათქვამი: „...არც მე განგსჯი, ნადი, მშვიდობით იარე და ამიერიდან ნულარ შესცოდავ“. გაიგონა, მაგრამ ვერაფერი გაიგო, სხვა ფიქრს შეეპყრო იმედი დარწმუნებული, ცხადია, ახალგაზრდა მოძღვარი მალე ისრავლისა და გალიელის მეფე გახდებოდა, ქვეყანას რომაელებისგან გაათავისუფლებდა და იუდას რაღაც უნდა დასჯდომოდა, მის გარემოცვაში უნდა შეეღწია, თმენითა და შრომით მისი ერთგულება დაემსახურებინა, სამომავლო სიმდიდრესა და ძალაუფლებაში წილი რომ ჰქონოდა.

არადა, თითქოს ერთი ნაბიჯი იყო დარჩენილი იმ სანუკვარ წამამდე, ქალისადმი ნათქვამ სიტყვებს, „არც მე განგსჯი... ამიერიდან ნულარ შესცოდავ...“ რომ უნდა მოჰყოლოდა იუდასაგან.

„იუდას გულშიდან მთლიანად გაქრალიყო იესოსთან შეხვედრის ის მთროლოვარე მოლოდინი, რომელიც სულ ახლახან სინანულითა და კრძალვით იყო საესე.“ თავის თავს არ ღალატობდა, ისევ ის იყო, ვინც იყო, მეტიც, „უპირველეს მიზნად, ისევ იესოსთან დაახლოება რჩებოდა, ოლონდ არა საკუთარი არარაობის, უსუსურობის შეგრძნების გამო (სულ რაღაც გუშინ ასე რომ აწვალვდა), არა აღსარების თქმისა და შენდობის იმედით“, არამედ თავისი პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად, მტკიცედ სწამდა, „არაფერზე უნდა ეფიქრა ერთის გარდა. გამიზნული ბრძოლის შედეგი სურათივით ეკიდა ჰორიზონტზე, ცხოვრების გზაზე ორი კერპი აღმართულიყო — სიმდიდრე და ძალაუფლება! ორივეს გარანტი კი იესო იყო. აი, ეს მაღალი კაცი, მხრებზე დაყრილი ნაბლისფერი, ტალღოვანი თითა და მოკლე წვეთი, ოღნავ

ოქროსფერი რომ გადაჰკრავდა მზის შუქზე, აი, ის უშიშარი, ტკბილმოუბარი და მშვიდი ადამიანი, რომელიც ეს-ესაა ბრძოლა მოგებული ისევ მარტო იდგა სანაპიროზე, სივრცეს გაჰყურებდა და თითქოს ვილაცას თუ რაღაცას ელოდა.

იუდამ იგრძნო, რომ მას ელოდნენ, არც შემცდარა, მიახლოებისთანავე გაიგონა:

— მოხვედი, — ისეთი სითბოთი და სევდიანი შვებით თქვა იესომ, თითქოს ნლობით გადაკარგული, ბავშვობისდროინდელი მეგობარი დაიბრუნა.

„მოხვედი“ — ეს არც შეკითხვა იყო და არც აღტაცება, უბრალოდ, იმის დასტური იყო, რომ რახანია უცდიდნენ.“

...და, ამის შემდეგ ხდება ის, რაც ბავშვობიდანვე ცნობილი ყველა ქრისტიანისათვის და ისეთი დახვეწილი ფსიქოლოგიური ნიუანსებითა და მხატვრობითაა ნაჩვენები ღალატის ანატომია, არ იცი, „აზრი ამჯობინო სიტყვას, თუ, პირიქით.“ და რაც უფრო ახლოვდება საბედისწერო საღამო, მით უფრო მეტი სიყვარულითა და მოთმინებით ივსება მოძღვარი სანყალობელი მოწაფისადმი, რჩეულ თორმეტგან ერთ-ერთი რომაა, მისი სიხარბისა და სიმდებლის მცნობმა მაინც ქისა რომ ჩააბარა, სხვათა მსგავსად კურნების ნიჭი მისცა, გვერდით მოისვა. იუდაში კი იესოსთან ხორციელად მისვლის მიუხედავად, არაფერი შეცვლილა, არაფერი შეძრულა, მოძღვარი კი მაინც ელოდა და ელოდა, რამდენჯერ მიანიშნა კიდევ, რომ მისთვის, ძეკაცისათვის, არაფერი იყო დაფარული და როცა იუდას მარჯვენამ ტეხა დაუწყო და ერთხელ ტკივილით გონებადაკარგული მოძღვრის კარავთან ჩაიკეცა, თვალგახეილილს, იესოს ხელისგულიდან წამოსული შვების შემგრძობელს, თბილი, ალერსიანი ხმით უთხრეს: „ღარ შეგანუხებს, მაგრამ მაინც გაუფრთხილდი... ნუ დატვირთავ, ნუ დაიმძიმებ, ეტყობა, შენი სუსტი ადგილია.“

იესოს სინათლისა და სიყვარულის საპირისპიროდ, მეტი სიბნელე და სიძულვილი ისადგურებს იუდაში და ამიტომაც, საიდუმლო სერობის ღამეს ისე დაჰყურებს მისი ვეხთ ბანვით დაკავებულ მოძღვარს ზევიდან, როგორც „სავაი დაჰყურებს მიზანში ამოღებულ მსხვერპლს“.

მაკა ჯოხაძის ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყავს მკითხველი იმის გასაცნობიერებლად, სიხარბის მიუხედავად, 30 ვერცხლი, ერთი თეთრი მონის საფასური, არაა ის, რის გამოც იუდამ ადამიანობისკენ მოსაბრუნებელი ყველა გზა მოიჭრა, ღმერთი თავისუფლება და როგორ შეიძლება, თავის ხატად შექმნილს რაიმე დააძალოს და ამით მისგან ბოძებული ყველაზე ღირებული — თავისუფალი ნება წარსტაცოს. ამიტომაც ვერ ჩაეროდა არჩევანში იუდას, ვერაფერმა რომ ვერ გაათბო მისი უნდო, ეკლით შემოჯარული გული, „უცვლელი დარჩა მისი ხარბი ბუნება, რომლის წყალობითაც გონება მთლიანად გამოწურა, გაახმო, გამოფიტა, უდაბნოდ ქცეულ გულში იოლად შესრიალდა ძველი, ვერცხლისფერი უხსენებელი. მშრალ წილად ხოხობი მოხაზა ჯაჭვის წრიული რგოლები, თითქოს სუსტად

მფეთქავ გულს ბორკილს ადებდა, თითქოს ამ თამაშით ისკარიოტელს თავს აწონებდა. მოულოდნელად წამოყვლეყვავდა, კუდზე შემართულმა ფირუზისფრად დაწინკლული თავი ყურის ნიჭარასთან მიუტანა და... წაისისინა... როგორც იტყვიან, რა უნდა ჰქნას მკურნალმა, თუ განსაკურნებელს გამოჯანმრთელება არ სურს, იუდაც ამიერიდან საკუთარი ნებით „წუთისოფლის თავადს“, მთლად სიბნელეს ეკუთვნის და პასექის სუფრასთან მყოფი მოწაფის გულში, მოძღვრის მიერ პინაკში ამოვლებულმა და მისთვის მიწოდებულმა ლუკმამ „სინანულისაკენ მოხმობის უკანასკნელ მცდელობას რომ ჰგავდა“, „მრისხანების ცეცხლი დაანთო“. ხოლო როცა ყველაფრის მცოდნე იესომ წასვლის ნება დართო, „გავიდა და სულთამხუთავი წყვილია მუფეხბაც თან გაიყოლა“.

...ქრისტეს ჯვარცმისა და იუდას სიცოცხლის ბოლო წუთების მსგავსი სიძლიერი თაა „ისკარიოტის ეკლებში“ წარმოდგენილი სახეები და ცხოვრება ქრისტესთან ერთად ჯვარზე გაკრული ორი ავაზაკისა, მაგრამ რომანში არის განსაკუთრებით ამაღლებული ერთი ადგილი, რომლისწინააღმდეგადაც ერთ მსგავსი თემის ნაწარმოებში არ წამიკითხავს...

...მოედანზე მყოფი ბრბოს მიერ განაჩენი გამოტანილია, „შუბლშეჭმუხვიანი პილატე ზარდაცემული მიმტერებოდა ცოდვის ამ უჩვეულო ზეიმს. მერე იქვე მდგომ ლეგიონერებს ბორკილდადებული იესოს კვლავ მღვდელმთავრებისათვის ჩაბარებას უბრძანებდა, მოულოდნელად ნაზარეველის სახეს შეეფეთა. როგორ არ უნდოდა ამ სახის დანახვა! მისი დამახსოვრების ეშინოდა. მოძღვარმაც თითქოს დაზოგა, თავი ოდნავ გვერდით გასწია და თვალი აარიდა. პილატეს მოეჩვენა, რომ იესოს მზერა ახლა შორეულ სივრცეს გასცქეროდა, თაფლისფერ თვალებში კი გაუგებარი სიმშვიდე და უცნაური თანაგრძობა ედგა.

„მე არ მომიკლავს!.. ყველაფერი ვეცადე!“

...დანისლული თვალებით კარგა ხანს მიაცილებდა ლეგიონერებს შორის ჩაყენებულ იესოს. მისი მდგომარეობისათვის უჩვეულოდ ნელგამართული მიდიოდა ნაზარეველი. და, მაინც, ამ ახოვანი, აღნაგი კაცის ზურგი და მხრები მამის მიერ უდანაშაულოდ დასჯილი ბიჭის მორჩილ უმწეობას ასხივებდა.“

„ნამდვილი ხელოვნება ყოველთვის იყო და რჩება ღვთისმადიებლობად“ — წერს ერთგან მაკა ჯოხაძე და ამ სიტყვების დასტურია „ისკარიოტის ეკლები“, რომლის ნაკითხვის შემდეგ მორწმუნე უფრო განმტკიცდება თავის რწმენაში, ეფვით შეჰყრობილი კი ბევრს იფიქრებს...

...გვეყავს თუ არა ქართველებს ნობელის პრემიაზე წარსადგენი მწერალი?

გვეყავს და იგი მაკა ჯოხაძეა, რომლის დასახასიათებლად უპირანია მეტაფორა „მოაზროვნე გული“.

P.S. სათაურად გამოყენებულია სიტყვები მაკა ჯოხაძის წიგნიდან „ჩაძირული დღესასწაული“.





ერეკლე შველიძე

 ცნობიერების ნაკადი.
 სიცარიელის ნახატი.

და სიბნელეში გაგნება.
 რა უნდა გითხრან საგნებმა,

გარდა ღუმლის, განდგომის.
 და ხმის ვინაა გამგონი.

ხმის, რასაც ვეღარ იკავებ.
 აღმართი, მერე ივაკებს

და მინდორს გააქვს ბიბინი.
 რამდენი ხანი ირბინე.

დროა, დაფიქრდე, ჩამოჯდე.
 შორს ისევ მთები გამოჩნდნენ.

მაგრამ უფრო ზღვა გეძახის.
 ხედავ საფლავს და მიწაყრილს.

ტრეილერები გზატკეცილს
 სერავენ. დარდს აათქეცებს

ამინდი ქუფრი. წავიდა.
 შენ მისი ბოლო ნახვიდან

გულდანყვება თუ გამოგყვა.
 შენ იცი, რომ ის არ მოვა,

არ არის რამის გამგები.
 გზად ცათამბჯენებს აგებენ.

ცაზე კაშკაშა წერტილი —
 მზე — მისი ძუძუს კერტივით

ანათებს. მზეზე იწვები.
 სასაფლაოზე წინვები.

ო, მზეო, მზეო ცხრათვალა.
 ალბათ ვილაცამ გაგვთვალა.

 სალამოს დამენვევა მე შენზე მოგონება.
 ქუჩაში გაიარეს ლამაზმა გოგონებმა.

აგვისტო ძალაშია, ჯერ კიდევ მაგრად ცხელა
 და წყალში გაგრილება იქნება პანაცეა.

და კმარა სიხარული წვეთი სულ ორიოდ.
 უკუნი ღამე იყო, მე შენთან მოვდიოდი.

ვისხედით მდინარეში და თევზებს ვუყურებდით.
 მე მგონი, იდარებს და მიდის ეს უკუნი.

ღმერთო, გთხოვ, ეს სიზმრები ცუდისგან დამინდინდე.
 შენ როგორც მოგინდება და ისე, მეც რომ მინდა.

 ვზივარ აუზთან. ვკითხვლობ გრანელს.
 ქალი მიცურავს აუზში მშვიდად.

გრანელს ჩემზე აქვს გავლენა მავნი.
 მე წერა უფრო სხვაგვარად მინდა.

მუსიკა ისმის სტილში ლაუნჯის.
 ცა კრიალა და თან უღრუბლო.
 ცოტას გავცურავ ისევ აუზში
 და მწვანე ხეებს მინდა, ვუყურო.

უფრო ვმშვიდდები, ვატყობ, თანდათან.
 ამ ცამდე მინდა თითქოს მინვდენა.
 კარგი სიზმარი თითქოს დამთავრდა.
 გულიდან სევდა გამოიღვენა.

მოსალამოვდა. ყავას ვსვამ ტყესთან.
 ჰაერში არის ნესტი ოდნავად.
 და მაგიდებთან აქა-იქ სხედან.
 ბედნიერება მაინც ცოტაა.

ვზივარ მარტო და უფრო ბნელდება
 და ღერი ღერზე ვენევი ისევ.
 გადაიარეს ძველმა ელდებმა.
 ველარ ვგებულობ ნაღველის მიზეზს.

უკვე ღამეა და დრო ილევა.
 ღუმელი არის მშრალი და უმი.
 მაქვს მარტოობის გამოცდილება
 და მარტო ვუსმენ საკუთარ ღუმელს.

 ქეშმარიტება მოვიპოვე, შემდეგ დავკარგე,
 და რეალობა ჩამოხრება, გაუფერულდა.
 და თურმე ის, რაც მოვიპოვე, იყო რა კარგი.
 ცხოვრება ისევ თავს მაჩვენებს სასტიკ ველურად.

ასე გამოდის, რომ უბრალოდ რწმენა შემერყა
 და ყოფნამ ისევ შეიძინა ცივი ელფერი.
 თითქოს ახლოდან გაისროლა სადღაც ქვემეხმა,
 დამდგარ სიჩუმეს ამის მერე ახლა შევფერი.

მაგრამ ის ისევ ჩემი არის, რაც მე მომეცა.
 ის დაილევა ცნობიერში და არსად წავა.
 იმქვეყნიურის მოლოდინის დგას გარემოცვა.
 ამქვეყნიური ტბის სარკეზე მივცურავ ნავად.

 თავგამოდებით ალბათ შენს თავს არსად არ გაურბი.
 სერავს სიცივე შენს გულს,
 ქუჩების ქვარტლით გამურვილს.
 ტყდება დღეების წნეხი, და ვამჩნევ, იქით ფონია.
 გამოღვიძებულს ღამით,
 შემცბარს, დამფრთხალს და ოფლიანს,

მაგრად შემოგხვევ ხელებს, ღრმად ჩაგხეუტებ, კოცნით
 შენს შეცხელებულ სხეულზე
 გაშლილ ყვავილებს დავტოვებ.
 ოლონდ არ ვიცი, სად ხარ, ცოტა ხნით კიდევ მადროვე.
 ვითმენ სიცივის სკალპელს, და ახლა დროა მოცდის.

 სიჩუმე დგება და ხორცს ისხამს თითქოსდა.
 ექცევა გაცრეცილ კედლებში მთლიანად.
 მხეცივით თავს მესხმის და ყურებს მითუთქავს.
 ცხრება და მიჰყვება ხავსიან ლიანდაგს.
 კედელი შესცქერის მკვდრად კედელს პირდაპირ.
 ცახცახი მოედო ფერწასულ სავარძელს.
 აფრენა სწავია იატაკს მივარდნილს.
 მოფრინდნენ ჩიტები, კვლავ ფრენა განაგრძეს.
 წიგნების თაროსთან დღე ნელა ეშვება.
 ისხენებს მაგიდა, რომ ადრე ხე იყო.
 ცრემლები ერევა უფსკრულში გველეშაპს.
 ქალივით შემცბარი ნიავი შეირხა.
 კარები ჰკიდია ანჯამებს დაღრეჯით.
 ლოგინი ისუნთქავს არსობის სიცივეს.
 სამყაროს, საბრალოდ შუაზე გახლეჩილს,
 თითქოსდა ღვთის ხელი ამრთელებს ისევ.

 მას ესიზმრება საკუთარი განტოტვილობა,
 ხანგამოშვებით მოშრილ ფოთლები მხრებზე.
 მას ესიზმრება: სისხლძარღვები ღრმად აქვს გადგმული
 მინაში. მისთვის ზამთარშიაც ტყეში თბილოდა
 და სიზმარშიაც საკუთარ თავს თითქოსდა ეძებს.
 მას ესიზმრება, სადაც იდგა, სულ ის ადგილი.

 მას ესიზმრება: ღრმად ისუნთქავს ტყის უხეშ ჰაერს,
 გააქვთ ჟივფივი ჩიტუნებს, ჟრიაშულია;
 გულზე კოდალა უკაკუნებს გულმოდგინებით
 და მზე დანათის მადლმოსილად, ნიავი არხევს
 და უცბად შვლები ტანწერნეტი ჩამოუვლიან
 და თავს ჩასძახის: ამ ტკბილ სიზმარს სრულად მინებდი.

 მას ესიზმრება: ნაკადული კრთება ახლოსვე
 შემოდგომობით მოვლებული ფოთლებით მრეშით,

მზით იდღვებება ყვავილები, ბალახი ნორჩი.
 მას ესიზმრება და

ტყის უღრმეს შრიალს გამოსცემს,
 თითქოსდა იდგეს იმ ადგილას, ისევე ტყეში,
 და თავს ჩასძახის:
 ეს სიზმარი არასდროს მორჩეს.

სკამი
 და რა ხანია, რაც ეს სკამი აგარაკზეა.
 ბოლოს ადგილი, მიმორყეულს, იქ მივუჩინეთ.
 თუმცა სიჩუმე აგარაკის ახლა აცხრება,
 ამ სიჩუმეზე შეუძლია მეტად ყურჩილი.
 დიდი ხანია, აღარავინ მასზე არ ჯდება.
 ზედ ალაგია დამტვერილი ძველი წიგნები.
 დრო სიზმარივით დაილია მისთვის. გაჩერდა.
 აკრავს დღეები, მზით და ქართი გამოშინებული.
 ესმის ჭოტების ღამლამობით გადაძახილი,
 და მის გარშემო ეს ქმნის თითქოს ერთგვარ მაგიას,
 და ღამეები ვარსკვლავებზე თვალს ახელენ,
 და მე არ ვიცი, გამალებით რას ჩასძახიან.

საპარკელი
 ვზივარ და ვუცქერი მიდამოს სარკმლიდან,
 და ნაძვის კენწერო ირხევა თანაბრად.
 იქნება დავლანდო ცაში ღვთის დარაბა
 და გასვლა გარეთაც ბოლო ხანს არ მინდა.

ივინყებს მავანი თავის ძველ ოცნებას,
 რადგანაც უმტყუნა და გული ატკინა
 და ფიქრობს, რომ არ ღირს ამაზე მოცდენა,
 რადგანაც ოცნება უკვე სისხლს ანთხევდა.

მე კიდევ ვფიქრობ და რაღაცას მოველი.
 ოცნების გარეშე ჯერ კიდევ არ ძალმიძს,
 და მოდის ოცნება, დებს, დნება თოვლივით,
 და ვუმხელ ყველა ფიქრს ამ ჩემს ძველ სავარძელს.

 და ამინდია ზამთრის მზიანი
 ჟაკეტით გასულს, მზეში არ გცივა.
 მზე თითქოს თბილ ხელს ლოყაზე გადებს,
 გათბობს, გამშვიდებს და გამთლიანებს.
 ხეებს ფოთლები თითქმის დასცივიდათ.
 დღე შეექცევა ფოთლების ნადიმს.

დღე თითქოს ცდილობს, წარმოგისახოს,
 რომ ეშველება ამ დედამიწას,
 დაისადგურებს ბოლოს მშვიდობა.
 დღე წარმომიდგენს მე შენს სისხლძარღვებს
 და სისხლის კრიალს მათში. ამისგან
 განუზომელი ჩემში სითბოა.

უკვდავებაზე დღე მიანიშნებს —
 რომ ბოლოს ყველა უნდა გადარჩეს,
 ნეტარებაში გადაინაცვლოს,
 რომ უფსკრულები უნდა დაიხსნენ,
 თუმც მწუხარება გულებს გადაჭრის,
 არ ებარებით მკვდრებზე მინასო.

 ჩვეულებრივი დღეა,
 გამორჩეული რაღაცით,
 რაღაცით ალსანიშნავი.
 ბედისგან უძლებ ნჯღრევას.
 ხედი ჩანს, როგორც ნახატი.
 ხედში — ხეები შიშველი.

სახლში სიმშვიდე სუფევს,
 კედლებზე განფენილია,
 განფენილია ავეჯზე.
 უსმენ მშობლების ფუსფუსს
 და გინდა, ეს იდილია
 შენში ჰაერად გაჯერდეს.

 დღე სინამდვილეს კენკავს,
 როგორც ბელურა ნამცეცხვს,
 და ვერ ნაყრდება ბოლომდე.
 ამ დღის ვუცქერი დრეკას,
 იქნებ პასუხი გაეცეს
 ჩემში ჩამომდგარ მოლოდინს.

 წარმავლობა გვეპარება
 შორიდან, როგორც ზამთრის სუსხი.
 თავების გვინდა შეფარება,
 როცა ერთმანეთს გულებს ვუხსნით.

 წარმავალია, მით ტკბილია
 ცხოვრების მწარე სიტკბოება
 და სიყვარულშიც ტკივილია,
 ხესავით უფრო იტოტება.

მადლობის გარდა, ყვედრებაა ყოველი წამი დასასრულზე. თვალს ცრემლები შეეპარათ. ჟრჟოლა ამოაქვთ ამოსუნთქვებს.

თითოეული ამით უფრო ტკბილია წამი, ხვევნა-კოცნა. ისუნთქე ღრმად და თავისუფლად სიზმარეული გარემოცვა.

მადლიერებით უნდა იყო მუდამ აღსავსე. თან განიცდიდე ძლიერ ტკივილს გამუდმებულად. ჩვენი ცხოვრება ალბათ არის განსანმენდელი. ენას კვამლივით ბოროტება აქ ასავსავებს. დაბომბვის შემდეგ არემარე გაყურებულა. ნუთისოფელში შენ ხარ მაინც, როგორც დევნილი. დაჯექი ჯირკზე ხის ძირას და ცას დააკვირდი. წარმოიდგინე მისი სიღრმე, უსასრულობა და შეეცადე, მოუძებნო ყოფნას ნაპირი. კვლავ შეაბიჯე ახალ დღეში უფრო გულგონად.

სადაც არ უნდა გაიხედო, ყველგან მახეა. როგორც გრძნეული, ცდილობს თითქოს ცხოვრება, შეცდე. წინა დღეებში ქარი იყო, ნაძვებს არხევდა. დღეს კი ბინდივით ჩამოაწვა სიმძიმე ხედებს.

ეზოს ხმაური მოგუდულად ოთახში აღწევს. გახედავ გარეთ, გამვლელები მიდი-მოდიან. მარტობათა ემგვანება სიცხადე აღმწერს. სევდა სუსხივით უფრო მწარე სალამოთია.

დღეები დღეებს ენაცვლება ფილმის კადრებად. ფიქრი თითქოსდა იშრებება, როგორც უდაბნო. უკმარისობის მწველი განცდა შეეფარდება ადამიანთა ჩაბნელებულ გულებს უდაბურს.

ზედაპირული სიხალისე მეტად ფუყეა, არის, ტკივილის არიდების, ალბათ, მცდელობა. ჯობია, გნამდეს იდეალი ისე ურყევა. სასუფეველის გნამდეს, სადაც მწვანე მდელია.

რა სიმშვიდეა დანოლილი სახლებზე, მთებზე. მოუცავს ჟიჟივს ჩიტებისას არე მთლიანად, და თეთრმა ფიქრმა მე ნისლივით გარემომიცვა. სიცარიელეს გაფურბივარ, სისავსეს ვეძებ. ძნელია ყოფნა და დარჩენა ადამიანად. და ჩანაფიქრი უკეთ მინდა, ღმერთის მესმოდეს. წუთი ჩამოდგა და მზის სითბო მხედება შენდობად. განმსჭვალვა შენით ტკბილი არის, ღმერთო, ესოდენ. თითქოს კვამლივით გაიფანტა უიმედობა.

მუდამ მოქმედება უნდა მიდიოდეს. რიდე მოვაცილოთ ფარულ სიდიადეს. ჩავყვეთ სიღრმეებში, ფსკერზე, ნაკვებამდე. კრთობა ვარსკვლავების სანამ დაგვეთავადეს. ციდან გადმოვხედოთ ტყეებს, ხოდაბუნებს. შენგან წამოსული უკან მომაბრუნე. გული დამიამე. ჩემში ჩაგისუტებ. გრძნობას ცეცხლი ედოს და არ გაგვიხუნდეს.

სანახაობა არ ჩერდება ომებთან ერთად. აზიარებენ უკანალებს, ტუჩებს დაბერილს, და შეუვალი გულგრილობით, ბრმასავით, მკვდრეთად მიექანება ჯანდაბისკენ სულყველაფერი.

სადაც რესტორნის ტერასაა. ღვინის ჭიქები მაგიდაზეა. აბეცებენ უაზროდ თვალს. საკუთარივე უსახობის მიღმა მლიქვნელნი აჩრდილებივით ცხოვრებიდან უკვალოდ გავლენ.

იქით ომი და აქ ფეხბურთის რეპორტაჟია. მიაქვს ეთერი მკვდარ შოუებს, იაფფასიანს. საშინლადაა ყველაფერი, მეტად საშინლადა. საპნის ბუშტივით გასკდომადი ირგვლივ ფარსია.

სამშობლოსათვის უნდა იყო მთლიანად მკვდარი, როგორც აკლდამა ან კედელი ძველი ტაძრისა, ხავსმოდებული ტყეში ლოდი, ხალი კლდე, რკინა. ისეთი ცივი, როგორც წყალი ჭის ფსკერზე მდგარი. კეთილშობილი, როგორც ქვევრში წითელი ღვინო. გრძნობით აღძრულით არ დაინვა უნდა ხანძრისგან. სამშობლოსათვის უნდა იყო ისეთ ჯაფაში, რომ ამ ჯაფისგან მოსვენებულს მშვიდად გეძინოს. სამშობლოსათვის ღრმა ფიქრებში ხშირად ჩასაფრდი, სამშობლოს თავი საქმით შენით უნდა შესწირო.



მჭანარი ყვავილანი ობსესია

სიფხიზლე და სიმთვრალე — იდუმალი სხვაობა, მინას ვერ დაუთვალე ქვეები სასაფლაოთა — გრძელი, ლურჯი კიბიდან მკვეთრი, მიუკარები, თეთრი ბალდახინიდან ჩამოშლილი კალები. სილუეტი „LA და Li“ — უხილავი თვალთაგან, რაც არ არი, არ არის... არ იყო და... გათავდა! იდეური თენება — იდეური ღამებით... დაღმას — აღმაშენება სიტყვის ჩამოტარებით... უსასოო დაცვები გარდასული ბუნების, გაყინული განცდები გაცვეთილი ბუნების. ატანილი ცამდე, რა?! ვირტუალურ დაშვებით... ძნელია, რომ არ გვერა, ულოდინოდ დაშრები... აფრენილი გნოლები, გადათვლილი — სატყვიედ, მოტანილი ჭორები ქარებმა რომ აბნიეს... ახლა დროა სიფხიზლის, დრო, დრო აღარ დაგიცდის... გაიხედე, ვინ გიცდის საკუთარი კარის წინ! ატანილი ცამდე, რა... ვირტუალურ დაშვებით... ძნელია, რომ არ გვერა, ულოდინოდ დაშრები...

ვინა ხარ?! მინა

სამყარო რამდენ სივრცეს მოიცავს — თითოეულზე ერთით მეტია, დახაზულია გრძნობათ სიუხვით, ვით ძველი გზები, ფილაქანებით... ვინა ხარ? გზაზე უცხო მომხდურნი, გაუკვირვებულნი როცა მეტყვიან, გაუკვირვებულად მივუგებ პასუხს: სხეული ვარ და მცვივა — ქანები!

დამშეულ მინას ვერ ვუვსე გული, აჰა, მომკვეთეს დღეს კიდევ ერთი, დაკიდებული მთვარის კაუჭზე ღამე მიკვეცავს ცის შავ ბარხატებს...

დავდივარ ყველგან, ვეძებ და ვეძებ, იქნებ შემომხედეს გზად სადმე ღმერთი, ვიმსხვერვე სხეულზე ნეკროზს უცხო და... დრო ისევ ჩემსავ ნამსხვერვეს მამატებს!

თვალთახედვიდან ვიხსენებ იმ კადრს — შორს ლამპარით რალაც ციალებს, დაუნერელი ფურცლები ქარში ხმელ ფოთოლთ რხევით ცვივა ფილაქანს... რომელზეც ცვენილთ სცივა სიტყვები და ისმის მათგან მწარე ღრიალი, რა უნდა გითხრათ მომხვედურთ პასუხი, მე თავად ვიცი, განა, ვინა ვარ?!

ჯებრთა გასწვრივ ცა მენამული მაშინებს, ყასბის ბასრი დანა ვით... ცისკენ აწვდილი ისევ დავუშვი მინისკენ „იფნისფერი“ ხელები, მინა ვარ, ვცოცხლობ ჩემს ზედაპირზე, სანამდე მქვია დაუკრძალავი, ვითვლი და ვითვლი — გამოღმას ყოფნის დარჩენილ დღეებს და... ვეფერები!

სამყარო რამდენ სივრცეს მოიცავს, თითოეულზე ერთით მეტია, დახაზულია გრძნობათ სიუხვით, ვით ძველი გზები ფილაქანებით... ვინა ხარ? გზაზე უცხო მომხდურნი, გაუკვირვებულნი როცა მეტყვიან, გაუკვირვებულად მივუგებ პასუხს: სხეული ვარ და... მცვივა ქანები!

ნაპოლი...

მზეზე, ალალი ცრემლიც კიაფობს, ქალაქი ფერებს აშუქებს მუქად... ალგორითმები კვებავს ნეაპოლს, სალამოს ნადავლს ჰყიდია მუქთად. ვირტუალური სასახლეები გიპყრობს და უფრო მეტად გაშინებს, ვიდრე განვდილი პორტთან ხელები, ფრაკში რომ მალავს მდიდრულ არშიებს. გზებს ნაკვალევი ყოველი ერთის უფრო და უფრო მეტად სტკივდება, დღით ოქრო, ღამით სხვა ყიამეთი — შექმნილი ტანჯვით, ცრემლით, კირთებით! მზეზე ალალი ცრემლიც კიაფობს, ქალაქი ფერებს აშუქებს მუქად... ალგორითმები კვებავს ნეაპოლს, სალამოს ნადავლს ჰყიდია მუქთად.

მოტივაცია

ჯომუა ბაიკის სიკვდილით დასჯა მოუსაჯეს, ელექტროკამზე დაწვით.

დილით საკანში მივიდნენ — მსაჯულე-ბი, მღვდელი, ექიმი და კიდევ რამდენიმე მოხელე. ყველა რიტუალის შესრულების შემდეგ ფერდაკარგული ბეიკერი იმ ოთახში შეიყვანეს, სადაც ელექტროკამი იდგა. ორმა ზედამხედველმა ხელბორკილები მოხსნა და ჯომუა დასჯის ინსტრუმენტთან მიიყვანეს.

— დაჯექი! — უბრძანა ერთ-ერთმა. ჯომუა შეეცადა, მაგრამ ვერ დაჯდა, არ ჩაეტირა სავარძელში.

— რა ხდება მანდ? — ნერვიულად იქცნა ხელი ციხის უფროსმა, რომელიც მინის ტიხრის მიღმა იჯდა მომცრო დარბაზში.

— სავარძელში ვერ ეტევა, სერ! — რატომ? მაგ სკამზე 372 დამნაშავე დაესაჯეთ უპრობლემოდ! ყველა მშვენიერად ჩაეტირა!

— ეს ძალიან სქელია! — რამდენი კილო ხარ? — აღრიალდა ციხის უფროსი.

— ოოო... ორას ოცდაათი ვიყავი... დაჭერამდე... — ძლივს ამოიღულულა ცალი ფეხით საიქიოში მყოფმა, მერე გაჭირვებით ამოღერდა, — ახლა ალბათ უფრო მეტი ვიქნები...

*

ითათბირეს და გადანყვიტეს, სიკვდილმისჯილი ჯომუა ბეიკერი მკაცრ დიეტაზე დაესვათ. გავიდა ერთი თვე. ანონეს გრამი არ ჰქონდა დაკლებული. ადგნენ და წყალსა და პურზე დასვეს. ერთი თვის შემდეგ კვლავ ანონეს და ციხის უფროსს კინაღამ კრუნჩხვები დაეწყო, პატიმარს ერთი გრამიც არ დაეკლო.

— როგორ ახერხებს ამას ეს აფერისტი?! ალბათ იოგას ფლობს! მაგრამ იოგით ხომ წონაში იკლებენ?! ჯანდაბას! ჯანდაბას!

სასწრაფოდ მოინვეს საუკეთესო დიეტოლოგები, ფსიქოლოგები და ფიზიოლოგები. ტუსალის გამოკვლევის შემდეგ დაინიშნა კონსილიუმი და დაიდო დასკვნა.

ციხის სათათბირო დარბაზში ყველა უკლებლივ შეიკრიბა.

— გვითხარით, რა ხდება, რატომ არ იკლებს წონაში ეს მძორი? — დასვა შეკითხვა ციხის უფროსმა.

სამედიცინო კომისიის თავმჯდომარე, ცნობილი ფსიქოლოგი, წამოდგა, სათვალე გაისწორა და შეკრებილთ განუცხადა:

— ეგ წონაში არ დაიკლებს, ბატონებო. მშიერიც რომ ამყოფოთ, მაინც არ დაიკლებს.

— რაატომომ?! — ქალის ხმით აკივლდა ისტერიკაში ჩავარდნილი ციხის უფროსი.

მეტისმეტად ინტელიგენტმა მეცნიერმა ჩაახველა და მშვიდად უპასუხა:

— მოტივაცია არ აქვს!

— რაო? მოტივაცია?! რა შუაშია მოტივაცია?

— პირდაპირ დამოკიდებულებაშია მოვლენასთან! ორგანიზმი თავის გადარჩენის მიზნით ცხიმს ინახავს. რასაკვირველია, ქვეცნობიერის დონეზე ხდება ეს! მეცნიერების კუთხით საოცარი მოვლენაა.

ისტერიკის დეპარტამენტმა ჯომუა ბეიკერს სიკვდილით დასჯა სამუდამო პატიმრობით შეუცვალა.

*

ექვს თვეში ასი კილო დაიკლო. ერთ წელიწადში კი 78 კილოგრამს იწონიდა.

გავიდა წლები. ჯომუა გრძნობდა, რომ ციხის სამლოცველო კენ მიუწევდა გული. ჯერ მხოლოდ შაბათობით ლოცულობდა, შემდეგ სამშაბათსაც. ბოლოს ყოველ დღე, ვიდრე საუზმეზე წავიდოდა.

*

ერთ წინასაადგომო კვირას მღვდელთან შეხვედრა მოითხოვა. მოვიდა მამაო და ჯომუამ აღსარება უთხრა. მღვდელმა დაარბია, წერილი მისწერე შენ მიერ მოკლული კაცის ოჯახს და პატიება სთხოვე. ისინი გაპატიებენ თუ არა, იმათი საქმეა, მაგრამ შენ ვალს მოიხდი და მადლიაო. მისწერა წერილი. პასუხი არ მიუღია.


დრო ზღაზღვით გადიოდა. დღეები საუკუნეებით იწვებოდა. 12 წელი გაატარა ციხეში და ერთ დროს ორასოცდაათი კილოიანი კაცი ძვალი და ტყავი გახდა, დაუძლურდა, ჭამის მადა დაკარგა, ფეხებს ძლივს დაათრევდა... მერე ნეკნის ქვეშ ტკივილი დაეწყო. უძლურდებოდა ჯომუა ბეიკერი, თვალები ჩაუცვივდა, გაყვიტლდა. ლამამობით ველარ იძინებდა, თითქოს დახებით უსერავდნენ მუცელს...

*

ექიმმა ყველა ანალიზი წინ დაილაგა, კიდევ ერთხელ გადაათვალიერა ყურადღებით, თავი აწია, პირდაპირ თვალებში შეხედა პაციენტს და განაჩენით გამოუცხადა:

— ჯომუა ბეიკერი! შენ კიბო გაქვს, კუჭის კიბო!

ჯომუას ზუსტად ისე დაურბინა ჟრუანტელმა, როგორც თორმეტი წლის წინ, როცა საკანში მთელი ჯოგი შემოვიდა სა-



სიკვდილო განაჩენის სისრულეში მოსაყვანად. იმდენჯერ ჩახედა სიკვდილს თვალებში, რომ თითქმის დაუმეგობრდა, გაუთამამდა კიდევ და ალბათ ამიტომ ისეთი განწყობით იკითხა, რამდენი წლის სიცოცხლე დამრჩაო, თითქოს სულ სხვა ვინმეზე იყო საუბარი.

— აბა, რა გითხრათ? — ხელები გამაღა ექიმმა. კეფა მოიფხანა, მაგიდიდან ფურცლები ააღაგა და ჩანთაში ჩააწყო. გასვლისას კართან მოტრიალდა ისე, რომ ბეიკერისთვის არც შეუხედავს, თავისთვის ჩაილაპარაკა:

— როგორც უფალი ინებებს, ისე იქნება.

*

შენწყალბების კომისიის გადანყვიტელებით ჯომუა ბეიკერს, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფს, შემოდგომაზე გაათავისუფლებდნენ.

კომისიის ოთახიდან რეტდასხმული გავიდა. აღარ იცოდა, ეს შეგრძნება სიხარულისგან იყო გამოწვეული თუ მწუხარებისგან.

— შემოდგომაზე გამათავისუფლებენ! — ფიქრობდა ჯომუა. ფიქრობდა საკანში, ეზოში, სასადილოში, — დედას გავახარებ. თუ შემოდგომამდე ვიცოცხლე, გავახარებ, ჰო!

ხედავ, ერთხელ შენმა წონამ გიხსნა ელექტროკამზე დაწვას, მეორედ... მეორედ ღმერთმა განსაცდელად კიბო მოგივლინა, მაგრამ თუ სასიკვდილოდ გიმეტებს, თავისკენ რატომ გიხმობს, რაში ჭირდება მკვლელი?

*

გადიოდა საათები, დღეები. ჯომუას მგელივით მადა მოუვიდა, ძალა მოემატა. ძალა რომ მოემატა, ვარჯიში დაიწყო. ჯერ ხელებს და ფეხებს იქნევდა, მერე ჰანტელებზე გადავიდა და მალე სხეული დაეკუნთა.

შემოდგომით ჯომუა ბეიკერის გათავისუფლების ბრძანება მოვიდა. შინაგანანგის თანახმად ჯომუა ბეიკერი სამედიცინო კომისიამ გასინჯა.

ექიმმა ყველა ანალიზი გადაამოწმა. კარგა ხანს ათვალიერა. ისევ გადაამოწმა და მხრები აიჩეჩა.

— სახლამდე მივალნე? — მშვიდად იკითხა ბეიკერმა.

ექიმმა მრავალმნიშვნელოვნად აათვალიერა ტუსალი და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— ამ ზამთარს მე რომ არ დამესვა დიაგნოზი, ვიტყვი, კოლეგები შეცდნენ. თქვენ აბსოლუტურად ჯანმრთელი ხართ!

— როგორ?

— აბა, რა გითხრათ, ყველაფერი უფლის ნებაა! მოტივაცია ამოქმედდა. ეგ მოტივაცია ხომ უფლის ნება იყო?

— თქვენ მორწმუნე ხართ? — ჰკითხა ექიმმა და მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა.

თამაზ ჭიჭილი

„ქველმოქმედ ქრისტიანთა ბრაზილიის ასოციაციაში“ დიდი სამზადისი იყო. მორთეს პაკემბუს უბანში დონა მარია ტიემირას სამსართულიანი ეზო-კარი! იცით, რა არის, ან რას ნიშნავს პაკემბუს, სან პაულოს უბანი? ჯობია, არ გაიგოთ და არ ჩასწვდეთ! ღრმა დეპრესიაში ჩავარდებით უეჭველად... ისეთი სიკვლეუცით მორთეს დონა მარია ტიემირას სახლი, იფიქრებდით, იმ „ციც“ ზამთარში კარნავალისთვის ემზადებოდა.

